# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 5 სექტემბერი, 2013 წელი.

№169 (7296)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუობით და ჭორებით ბრძოლის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


# თუ მარგველაშვილი ვერ გაიმარჯვებს, უფრო სწრაფად გადავდგები პრემიერობიდან



②③

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენცია 2013 წლის 4 სექტემბერს

## თურქული ბიზნესის „სასათბურე პირობებში“ ჩაყენება შეიძლება პრივილეგირებულ ქართველთა ნახელავია

④

## ჰელენა ბედველის, კახა ბენდუქიძის და დავით როდელის ბოდვები...

⑦



ნაციონალური საცეცები „ბლუმბერგში“?!



◉ წინ, საქართველო!

## „ჯვაროსნები“ ⑩ იწყებენ და იგებენ

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

# თუ მარგველაშვილი ვერ გაიმარჯვებს, უფრო სწრაფად გადავდგები პრემიერობიდან

## საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენცია 2013 წლის 4 სექტემბერს



ეკონომიკა, პრაქტიკულად, არ მუშაობს, — პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებთან გუშინდელ შეხვედრაზე.

მისივე განმარტებით, სწორედ ამიტომ დასაქმების პრობლემის ერთბაშად გადაწყვეტა შეუძლებელია.

**„ჩვენი ეკონომიკის მხოლოდ 10 % მუშაობს. 10-ჯერ მეტი უნდა იყოს ერთ სულ მოსახლეზე შექმნილი პროდუქტი. წარმოგიდგენიათ რამდენი გვაქვს გასაკეთებელი? ძალიან ბევრია განაწყენებული ჩვენზე, მათ შორის რეგიონებში, ჩვენი ყოფილი თანაგუნდელები და ბევრი მახსენებს, გახსოვთ, როგორი აქტიური ვიყავი, მაგრამ დღესაც უმუშევარი ვარო. მინდა მათ კიდევ ერთხელ განვუმარტო (ბოდიში მოსახდელი არ მაქვს, თორემ ეს არ მერიდება), ყველას ერთბაშად დასაქმება თეორიულადაც კი შეუძლებელი იყო“,** — აღნიშნა ივანიშვილმა.

ამასთან, მან პოლიტიკურ პროცესებზეც ისაუბრა და თქვა, რომ ამ კუთხით მთავრობამ შეუძლებელი შეძლო.

„შეუძლებელი შევძელით, ბეწვის ხიდზე ვიარეთ, რომ ჩვენი ქმედებები ევროპაამერიკისთვის გასაგები ყოფილიყო და შიგნით საზოგადოების მუხტი არ დაგვეკარგა. საზოგადოებას 5 წუთში უნდოდა ყველანი დაგვესაჯა იგივე მეთოდებით. ამით მივიღებდით ახალ უბედურებას. ძალიან რთული პროცესი გავიარეთ. რაც ევროპა-ამერიკას სურდა, საზოგადოებას იმის აბსოლუტურად საპირისპირო სურდა. მოვახერხეთ, რომ ორივეს მხარდაჭერა შევინარჩუნეთ. ახლა ეს პროცესი დასრულდა და ამიტომაც ჩემი წასვლა აღარ იქნება საზიანო. აქამდე ძალიან საჭირო ვიყავი და დავიტრაბახებ, რომ ძალიან ფაქიზად და კარგადაც ვიმუშავე. გამოგვივიდა და თან არ გავაკეთეთ იგივე, რაც წინა ხელისუფლებამ — უწესრიგობით წესრიგის დამყარება არ შეიძლება“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

**ბიძინა ივანიშვილი მიიჩნევს, რომ ეკონომიკურ ვარდნასთან დაკავშირებით სპეკულაცია მიდის.** ციფრების შედარებით გამოიკვეთა, რომ ეკონომიკური ვარდნა არსებობს, თუმცა ეს ახალი ხელისუფლების ბრალი არ არის, პრემიერ-მინისტრის თქმით, ეს არის წინა ხელისუფლების არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგი. ეკონომიკა იმართებოდა არასწორი მეთოდებით და ის ზრდა, რაც ციფრებით მიღწეული იყო, ძირითადად სახელმწიფო სტრუქტურების აქტიურობის და ერთი კაცის გადაწყვეტილებების შედეგია. სახელმწიფო ინვესტიციების ნაწილი ეფექტურად ხორციელდებოდა, მხედველობაში მაქვს ის პატარა ინფრასტრუქტურული მშენებლობები, რომელსაც სახელმწიფო ახორციელებდა, ხოლო სხვა დანარჩენი მშენებლობები, კერძოდ, ქუთაისის პარლამენტის, „ბათუმის თაუერის“, ანაკლიის აკვა-პარკი და სხვა, უხარისხო იყო. ხშირად იყენებდნენ კერძო კომპანიების დაუფინანსებელ რესურსებს. ძალიან ბევრი კომპანიაა, „რომელსაც დროულად არ გადაუხადეს. **ეკონომიკის სამინისტროს „ბათუმი თაუერის“ მშენებლობისთვის 5 მილიონი აქვს დავალიანება დღესაც. 100 მილიონამდე არის ასეთი ვალი კომპანიების მიმართ. ძალიან ბევრი კომპანიაა დაზარალებული სახელმწიფოს მხრიდან. ხელისუფლება კომპანიებს აიძულებდა, მონაწილეობა მიეღოთ მშენებლობებში და მათ არ უხდიდნენ. გარდა ამისა, სახელმწიფომ დაუბრუნებელი დღგ-ს სახით მილიარდნახევარი ლარი ამოიღო ბიზნესიდან. ამის შედეგი კომპლექსურად მოვიდა დღეს“,** — განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, მთავრობამ ეკონომიკის გაჯანსაღება დაიწყო.

„ივლისიდან დაწყებული იყო ეკონომიკური ვარდნის პროცესი. ჩვენ დავიწყეთ ეკონომიკის გაჯანსაღება. ჩვენ უარი ვთქვით ასეთ ეკონომიკურ პოლიტიკაზე. დავიწყეთ ეკონომიკური გადალაგება სწორი ეკონომიკური რეფორმების გამოყენებით, იმ მეთოდებით, რომლითაც წარმატებას მიაღწიეს აშშ-მა და ევროპის ქვეყნებმა. ეს გულისხმობს თავისუფალ და კონკურენტუნარიან ბაზარს. ასეთ შემთხვევაში არ უნდა ჩაერიოს სახელმწიფო სტრუქტურები კერძო ბიზნესში. **ეკონომიკის სამინისტრო და ეკონომიკური გუნდი უახლოეს მომავალში წარმოადგენენ ეკონომიკის განვითარების შუავადიან გეგმას“,** — განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, კარგი იქნება თუ ეკონომიკურ ვარდნასთან დაკავშირებით სპეკულაციები ექსპერტების დონეზე გადავა.

„ის კითხვები და სპეკულაციები, რაც მიდის ეკონომიკურ ვარდნასთან დაკავშირებით, კარგი იქნება თუ ეკონომიკის ექსპერტების დონეზე გადავა. რამდენადაც ჩვენ ვერ ვახერხებთ კონსტრუქციულ თანამშრომლობას, კარგი იქნება თუ შუაში ჩადგებოდნენ ექსპერტები. ჩვენ გვყავს ძალიან კარგი ეკონომიკური ექსპერტები“, — აღნიშნა ივანიშვილმა. მისივე თქმით, ექსპერტებისგან ყველა რეალურ შენიშვნას მიიღებს.

**„ივლისიდან დაწყებული იყო ეკონომიკური ვარდნის პროცესი. ჩვენ დავიწყეთ ეკონომიკის გაჯანსაღება. ჩვენ უარი ვთქვით ასეთ ეკონომიკურ პოლიტიკაზე. დავიწყეთ ეკონომიკური გადალაგება სწორი ეკონომიკური რეფორმების გამოყენებით, იმ მეთოდებით, რომლითაც წარმატებას მიაღწიეს აშშ-მა და ევროპის ქვეყნებმა. ეს გულისხმობს თავისუფალ და კონკურენტუნარიან ბაზარს. ასეთ შემთხვევაში არ უნდა ჩაერიოს სახელმწიფო სტრუქტურები კერძო ბიზნესში.**

* * *

თურმე რუსეთის აგენტობის ბრალდება უკვე მომეხსნა. „გიგა ბოკერიამ შემომითვალა, რომ თურმე ჩემთან რუსეთის თემაზე პრეტენზიები აღარ აქვს“, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა დღევანდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა — თურმე ჩემთან რუსეთის თემაზე პრეტენზიები აღარ აქვს. თურმე, რუსეთის აგენტობის ბრალდება უკვე მომეხსნა, რისთვისაც დიდი მადლობა შევუთვალე“, — აღნიშნა ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი მიიჩნევს, რომ რელიგიურ თემასთან დაკავშირებით გაუგებრობები კოჰაბიტაციის პროცესთან ერთად დასრულდება.

ბიძინა ივანიშვილი სოფელ ჭელაში განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება და მიიჩნევს, რომ რელიგიურ თემაზე არსებული გაუგებრობები ხელოვნურად არის გამოწვეული და ძველ ხელისუფლებას ეს ძალიან აწყობს. ივანიშვილი არ გამორიცხავს, რომ მსგავსი პროცესები გარედანაც იმართებოდეს.

**„კონკრეტულად რაც ჭელაში მოხდა, როგორც მთავრობის მეთაური, აქცენტს გავაკეთებ კანონზე. არ შეიძლება ისე მოვიქცეთ, რომ ერთ ღამეში, დილით გავიღვიძოთ და მინარეთი დგას, რომელიც არავისთან შეთანხმებული არ არის, პროექტი არ არსებობს, ადგილობრივი თვითმმართველობა საქმის კურსში არ არის.**

**რატომ გახდნენ ისინი იძულებული, რომ ეს ერთ ღამეში გაეკეთებინათ? აქ მიჩნდება მე კითხვა: არსებობს რეალური პრობლემა, რომ საქართველოში მეჩეთი აშენდეს? ვფიქრობ, რომ ზოგიერთი ჩვენი მუსლიმი თანამოქალაქე ამას ობიექტურად განიცდის, რამეთუ საბჭოთა კავშირისა და 9-წლიანი ძალადობრივი მმართველობის შემდგომ შესაძლოა, ის ბუნებრიობა, რაც იყო, დაიკარგა, ბალანსი, რაც არსებობდა, დაირღვა. მაგრამ ვფიქრობ, რომ ახალი არჩევნების შემდეგ ეს პროცესი გაიოლდება.**

**ძალიან მტკივნეული თემაა, როდესაც ხდება დემონტაჟი, ჯობდა ალბათ უფრო ფაქიზად მოქცეულიყვნენ. ჯობდა — სათქმელად იოლია, ჯობდა, მაგრამ როდესაც გევალება, გიწევს უხეში საქმის გაკეთებაც. თუმცა ეს სასიამოვნო არ არის არც ჩემთვის.**

**მე ვფიქრობ, კოჰაბიტაციის პროცესი და ასეთი გაუგერობებიც სულ მალე დასრულდება საქართველოში. მგონია, რომ ძალიან ხშირად ხელოვნურად არის ინსპირირებული. ძალიან მალე ბუნებრივად დალაგდება, გარანტიასაც მოგცემთ, რომ ასე იქნება“,** — განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერის თქმით, სახელმწიფოს ფუნქციებში არც მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურები არ უნდა ჩაერიონ.

**„სახელმწიფო ფუნქციაში ნუ ჩაერევა ნურც მართლმადიდებელი ეკლესიის ზოგიერთი მსახური, რომელიც ცდილობს და აკეთებს შესატყვის განცხადებებს. ჩვენ უდიდეს პატივს ვცემთ ჩვენს რელიგიას, ეკლესიას. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ არ ჩავერიოთ, მხოლოდ დავეხმაროთ და ხელი შევუწყოთ მის განვითარებას. მაგრამ ეკლესიის ზოგიერთმა მსახურმაც კარგად უნდა გაიგოს, რომ მათ არ აქვთ უფლება სახელმწიფოს ფუნქციები შეითვისონ. ჩვენ მხოლოდ კანონზე დაფუძნებით უნდა ვიმოქმედოთ“,** — განაცხადა ივანიშვილმა.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, შს მინისტრმა, მიუხედავად ამნისტიის შემდეგ კრიმინოგენური ვითარების დამძიმებისა მოახერხა, პროცესების ეფექტიანად მართვა.

როგორც ივანიშვილმა ჟურნალისტებთან გუშინდელი შეხვედრისას განაცხადა, პოლიცია მოქალაქეებზე არ ძალადობს და ყველაფერი სრულდება კანონიერად.

**„სრული წესრიგია. 14 ათასი პატიმარი გამოვუშვით ციხეებიდან, გავანახევრეთ პატიმრების რაოდენობა. რა თქმა უნდა, აქედან ნაწილი იყო ისეთი, ვინც დაამძიმა კრიმინოგენური სიტუაცია. მოხდა რამე? ნახეთ როგორ ეფექტურად იმართება, — ამ დროს არავინ ძალადობს მოქალაქეებზე, ყველაფერი სრულდება კანონიერად. პოლიცია არის ხალხის სამსახურში, ამას მე არ ვახერხებ, მინისტრი ახერხებს“,** — განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრი შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს პოლიციის რეიდებთან დაკავშირებით საზოგადოებისთვის განცხადების გაკეთებისკენ მოუწოდებს.

როგორც ივანიშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე განაცხადა, თუ რაღაც შეიცვალა და ვერ გავიგეთ რა უნდა პოლიციას, მინისტრმა ეს უნდა ახსნას.

**„დღეს მე თვითონაც გავერკვევი ამ საკითხში, თუმცა ვთხოვ ღარიბაშვილს, გამოვიდეს და გააკეთოს განცხადება. თუ რეიდები გახშირდა და ეს საზოგადოებამ შეამჩნია, მან უნდა იცოდეს, რა ხდება. გამოვიდეს მინისტრი და ახსნას. თუ რაღაც მოხდა, რაღაც შეიცვალა და ვერ გავიგეთ, რა უნდა პოლიციას, კეთილი ინებოს და გვიპასუხოს“,** — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

* * *

ჩემს გუნდს პოლიტიკურ სცენას ვუთავისუფლებ, — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებთან გუშინდელ შეხვედრაზე „ინტერპრესნიუსის“ შეკითხვის საპასუხოდ განაცხადა.

მისი განმარტებით, ის, რისი გაკეთებაც მას პოლიტიკაში შეეძლო, გააკეთა.

**„პოლიტიკურ სცენას ვუთავისუფლებ ჩემს გუნდს, მათ, ვინც რჩება — გიორგი მარგველაშვილი მოდის, პრემიერს მერე დაგისახელებთ, მთავრობა არჩეულია, პარლამენტი იცით. ის, რაც შეიძლებოდა პოლიტიკაში ჩემი მხრიდან, მე გავაკეთე, უფრო მეტი სჭირდება საზოგადოებას. ვფიქრობ, პოლიტიკური ნაწილი დღეს წინ წაწეულია, უკეთესია ვიდრე საზოგადოება“,** — განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე განმარტებით, პოლიტიკიდან სამოქალაქო სექტორში მისი გადანაცვლების საკითხზე მხოლოდ პლიუსებს ხედავს და ამასთან დაკავშირებით ვერც ერთი მინუსი ჯერ ვერ დაუსახელეს.

„ჩემს გუნდს ექნება საშუალება, უჩემოდ მეტი პასუხისმგებლობა აიღოს. სხვათა შორის, არა მარტო საზოგადოება, გუნდშიც შფოთავენ, შიგნითაც ძალიან ბევრი განიცდის, ძალიან ბევრს ეს არ მოსწონს, ვაგრძელებთ პოლემიკას, ჯერ უსუფაშვილთანაც ვერ ჩავედით ბოლომდე, მაგრამ ჯერ ვერც ერთმა ვერ დამისახელა, მათ შორის, ვერც უსუფაშვილმა ერთი რეალური მინუსიც კი, რომელიც ჩემი წასვლით შეიძლება მივიღოთ. სულ პლუსებია, თანაც მე არსად მივდივარ, მე გადავდივარ უფრო რთულ ნაწილში“, — აღნიშნა ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრი, საქართველოს ევრაზიულ კავშირში გაწევრების პერსპექტივას არ გამორიცხავს. როგორც ივანიშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე განაცხადა, ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად საინტერესო აღმოჩნდება ევრაზიული კავშირი საქართველოს სტრატეგიისთვის.

# შეხვედრა ჟურნალისტებთან

**სოციალურად დაუცველი პირების, ეკომიგრანტების, დევნილების საქმესთან დაკავშირებით მთავრობა თავის შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებს, თუმცა პრობლემა ძალიან რთულია. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა გუშინ ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა.**

**„რაც შეეხება ევრაზიულ კავშირს, ყურადღებით ვუყურებ და ვსწავლობ. ამ ეტაპზე არანაირი პოზიცია არ გვაქვს, თუმცა, თუ პერსპექტივაში ვნახავთ, რომ ჩვენი ქვეყნის სტრატეგიისთვის ეს იქნება საინტერესო, რატომაც არა?“,** — განაცხადა ივანიშვილმა.

ამასთან, მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე საქართველოს პრემიერმა სირიაში შექმნილ ვითარებაზეც ისაუბრა და შეშფოთება გამოთქვა.

**„სირიის საკითხი ძალიან მაშფოთებს. განსაკუთრებით სამწუხარო იყო ქიმიური იარაღის გამოყენება, რისი მტკიცებულებებიც არსებობს. ძალიან დიდი ნდობა მაქვს ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ — მან ჩაატარა ექსპერტიზა და დასკვნის მიხედვით, გამოყენებულია ქიმიური იარაღი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ.**

**შემაშფოთებელია ეს ყველაფერი. ვისურვებდით, რაც შეიძლება მალე დასრულდეს ის გაუგებრობა, რაშიც ეს ქვეყანა წლების განმავლობაში იმყოფება“,** — აღნიშნა ივანიშვილმა.

* * *

ᲗᲣ მარგველაშვილი ვერ გაიმარჯვებს, უფრო სწრაფად გადავდგები პრემიერობიდან, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისი თქმით, ასეთ შემთხვევაში ის ჩათვლის, რომ მისი ვალდებულებები შესრულებულია.

**„ასეთ შემთხვევაში ყველა გზა გახსნილი მექნება და უფრო სწრაფად გადავდგები პრემიერობიდან. ის, რაზეც მე მაქვს პრეტენზია, რომ კარგი ანალიზი ვიცი, სწორი ხედვები მაქვს, სწორ პროგნოზებს ვაკეთებ, აღმოჩნდება, რომ თურმე ეს დრო დასრულებულია. ისიც მეგონა, წერილშიც დავწერე, რომ მე მაქვს ზედმეტი ნდობა საზოგადოებისგან და აღმოჩნდება, რომ თურმე ესეც არ არსებობს. ასეთ შემთხვევაში მე ჩავთვლი, რომ ჩემი ვალდებულებები შესრულებულია და ყველა გზა გახსნილი მექნება — სადაც მომინდება იქ ვიცხოვრებ და რასაც მენდომება, იმას გავაკეთებ. აღარ მექნება ვალდებულებები. მე ვიქნები თავისუფალი“,** — განაცხადა ივანიშვილმა.

ამასთან, როგორც ივანიშვილი აცხადებს, მარგველაშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში უალტერნატივოა.

**„მე სხვა გეგმა არ მაქვს“,** — აღნიშნა პრემიერმა.

* * *

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ბიძინა ივანიშვილი უახლოეს მომავალში ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტს არ გეგმავს. ამის შესახებ მან ჟურნალისტებთან შეხვედრაზე ისაუბრა. აშშ-ში თვისი ვიზიტის გადადების მიზეზიც განმარტა და აღნიშნა, რომ მთავარ პარტნიორ ქვეყანაში ჩასვლა წელგამართულს სურდა.

**„შიგნით იყო უამრავი პრობლემა და ამიტომ შევიკავე თავი აშშ-ში ვიზიტზე. მინდოდა ჩვენს უდიდეს პარტნიორთან წელში გამართული ჩავსულიყავი. ძალიან რთული იყო კოჰაბიტაციის პროცესი, დღეს სიტუაცია გადატეხილია, ამერიკელებმა იციან ჩვენი ხელწერა“,** — განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე განმარტებით, შეერთებული შტატები იმაშიც დაარწმუნა, რომ მთავარი არა პოლიტიკიდან მისი წასვლა, არამედ ისაა, რომ დასავლური კურსი უცვლელი დარჩეს.

— მე ძალიან ვუფრთხილდები რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას და ეს გუნდის წევრებმა კარგად გააცნობიერეს.

**„ძალიან მძიმე, საოცარი მემკვიდრეობა მივიღეთ ჩვენ რუსებთან ურთიერთობაში, ჩიხში შეიყვანეს ბოლომდე. გასაგებია, რომ რუსეთმა ჩაიდინა აგრესია. ისევ გამომეკიდებიან „ნაციონალები“, რომ საქართველოს ვადანაშაულებ. გემზე, პრეზიდენტმა ორწუთიანი გამოსვლის ნაცვლად, 40-წუთიანი „რეჩი“ რომ დაარტყა, დაიწყო გარჩევები და მაშინაც ვუთხარი, რომ საქართველოს კი არა, შენ გადანაშაულებ, შენ იყავი არაკონსტრუქციული და შენ ჩაიდინე უამრავი შეცდომა-მეთქი. ჩვენ საკუთარ თავს უნდა მოვთხოვოთ პირველ რიგში“,** — აღნიშნა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, რუსეთთან ურთიერთობის თვალსაზრისით, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ პროგრესია.

**„არსებობს მავთულხლართების გადმოწევა და არსებობს აქ კითხვები. 2008 წლიდან მოყოლებული სულ იყო ეს და „ნაციონალებმა“ დღეს შეამჩნიეს თითქოს. ეს პრობლემები არსებობდა და ცუდია, რომ დღესაც არსებობს. ვიღაცა შეავიწროვეს და ძნელია, რომ შენ გინდა ზოგადი ანალიზით ვინმეს გული დაუთბო“,** — აღნიშნა ივანიშვილმა.

გარდა ამისა, როგორც პრემიერი აცხადებს, ამ ურთიერთობის დალაგების მხრივ ბიზნესმენებს პოტენციალი არ აქვთ.

**„საქართველო-რუსეთის ურთიერთობისთვის ძალიან ბევრმა ბიზნესმენმა გამოიჩინა ინიციატივა. მე ძალიან ვუფრთხილდები რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას და ეს გუნდის წევრებმა ძალიან კარგად გააცნობიერეს. მე ძალიან ვფრთხილობ, რომ არაფერი შეგვეშალოს; ძალიან ვფრთხილობ ქმედებებში, გამონათქვამებში, რადგან თემა არის ძალიან ფაქიზი. მე ყველა ბიზნესმენს უარი ვუთხარი, რომ ამ ეტაპზე არ აქვთ რაიმე რეალური პოტენციალი ამ მიმართულებით. ცოტა ზემოთ უნდა დათბეს და დალაგდეს ჯერ. ბიზნესმენმა, რომელიც ცოტა ზედმეტად იაქტიურებს, შეიძლება მან მძიმე შედეგიც მოიტანოს. რამდენიმე მხრიდან და სხვადასხვა მხრიდან მართული სიტუაცია შეიძლება პოლიტიკურად გაუგებარი აღმოჩნდეს კრემლისთვის“,** — აღნიშნა ივანიშვილმა.

* * *

ᲠᲣᲡᲣᲚᲛᲐ მხარემ სირიიდან საქართველოს მოქალაქეების გამოყვანაში ქართულ მხარეს დახმარება შესთავაზა. როგორც ივანიშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა , აღნიშნულის თაობაზე პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელს რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძეს გრიგორი კარასინი გუშინ დაუკავშირდა.

**„გუშინ, ზურაბ აბაშიძეს დაურეკა თავისმა კოლეგამ და შესთავაზა დახმარება, რომ სირიიდან ჩვენი თანამოქალაქეების გამოყვანაში დაეხმარებოდა. რუსულმა მხარემ შემოგვთავაზა ეს, რასაც მივესალმები. ასეთი განწყობაა და არა ის, რომ დაიპყრონ საქართველო. ჩემი აზრით, რუსეთიც კარგად აცნობიერებს რა მოხდა 2008 წელს და არ მგონია, რომ ამით გახარებულია. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ აუცილებლად დავალაგებთ რუსეთთან ურთიერთობას და აღვადგენთ ჩვენს ოს და აფხაზ ძმებთან ურთიერთობას, რის შემდეგაც აღვადგენთ ტერიტორიულ მთლიანობას“,** — განაცხადა ივანიშვილმა.

* * *

ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ „ბლუმბერგის“ ჟურნალისტი, რომლის მიერ მომზადებულ მასალას პრემიერ-მინიტრის პრესსამსახური და თავად ბიძინა ივანიშვილი „ტენდენციურად“ აფასებენ, ხელისუფლების მიერ დაქირავებული ლობისტების მიერ იყო ჩამოყვანილი.

ამის თაობაზე გუშინდელ პრესკონფერენციაზე ბიძინა ივანიშვილმა ისაუბრა. „ბლუმბერგის“ მიერ ჩაწერილი ინტერვიუ და მის მიერ გამოქვეყნებული მასალა პრემიერმინისტრსა და სააგენტოს საქართველოში მომუშავე ჟურნალისტს, ჰელენა ბედველს შორის პოლემიკის საგნად იქცა.

ივანიშვილის თქმით, „ბლუმბერგს“ ტენდენციურობას ამჩნევდა მაშინაც, „როცა რუსეთთან დაკავშირებულ თემებს მაქსიმალურად ატრიალებდა და ამაზე დიდი აქცენტი კეთდებოდა“. ივანიშვილის შეფასებით, ის, როგორც იყო აგებული მასალა, შერჩეული რესპონდენტები, აბსოლუტურ ტენდენციურობაზე მიუთითებს.

„სტატიაში ჩანს, რომ ჩემი ფული საშინელებაა საქართველოსთვის“ — აღნიშნა ივანიშვილმა, რომლის შეფასებითაც, „სტატია სააკაშვილის ენით არის ნალაპარაკევი“.

სოციალურად დაუცველი პირების, ეკომიგრანტების, დევნილების საქმესთან დაკავშირებით მთავრობა თავის შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებს, თუმცა პრობლემა ძალიან რთულია. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა გუშინ ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა.

მისი თქმით, იპოთეკარებთან დაკავშირებით მთავრობაში ძალიან ბევრს მუშაობენ.

**„შევდივარ მათ მდგომარეობაში მაგრამ ჩვენ გვაქვს ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი. იპოთეკარებზე ბევრი დრო დავხარჯე და ბევრი ვიმუშავე არჩილ ხაბაძესთან ერთად. ეს უნდა მოხდეს ბანკებთან შეთანხმებით. კანონმდებლობა, რომლის მიღებასაც პარლამენტი აპირებდა იპოთეკარებთან დაკავშირებით, პირადად მე შევაჩერე და საყვედური მივეცი უსუფაშვილს, იმიტომ რომ არ შეიძლება ბიზნესმენს კანონით რაღაც მიენიჭოს, ამით შეიძლება ბიზნესი დაანგრიო. ასეთ კანონს თუ შემოვიღებთ, ბიზნესმენები დაფრთხებიან “,** — აღნიშნა პრემიერმა.

მისივე თქმით, ძალიან კარგად მუშაობენ ეკონომიკის მინისტრი, ფინანსთა მინისტრი და ცდილობენ ბანკებთან კონსულტაციებს.

**„იპოთეკარების თემა ბანკებისთვისაც ძალიან დიდი პრობლემაა. ხშირად სახლები გაუაზრებლად არის დაგირავებული. დიდ ოპტიმიზმს ვერავის ჩავუსახავთ, იქნებ რაღაც დონეზე რაღაც გავაკეთოთ,“** — განაცხდა ბიძინა ივანიშვილმა.



## ინფორმაცია

### საქართველოსთვის ძალიან კარგი იქნება ბურჯანაძე პრეზიდენტად და ივანიშვილი – პრემიერად

**ამის შესახებ პრეზიდენტობის კანდიდატმა ნინო ბურჯანაძემ გუშინ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.**

**ბურჯანაძე პრემიერის გუშინდელ პრესკონფერენციას გამოეხმაურა და განაცხადა, რომ პრეზიდენტობის კანდიდატებთან დაკავშირებით ივანიშვილმა ბუნებრივი კომენტარი გააკეთა.**

**მე არ მგონია, ვინმე იმას ელოდა, რომ ბიძინა ივანიშვილი იმას იტყოდა, მე, სინამდვილეში ბურჯანაძეს ვუჭერ მხარს, მაგრამ მარგველაშვილი ტყუილად დავაყენეო. ეს უბრალოდ, არასერიოზულობა იქნებოდა. აბსოლუტურად ბუნებრივი კომენტარი გაკეთდა მისი მხრიდან. მთავარია, რომ არჩევნები ჩატარდეს სამართლიანად და დემოკრატიულად. ასეთ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, რომ პირველ ტურში იქნება ეს თუ მეორე ტურში, აუცილებლად გავიმარჯვებ, — განაცხადა ბურჯანაძემ.**

**ამასთან, ბურჯანაძე აცხადებს, რომ გაპრეზიდენტების შემთხვევაში, ის შეეცდება, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან არ წავიდეს.**

**— ვწუხვარ, რომ ბატონ ბიძინას აქვს ეს განწყობა, რომ ის ასე მალე წავიდეს პოლიტიკიდან. თუმცა ბუნებრივია, ჩვენ ძალიან ვაფასებთ მის წვლილს, პირველ ოქტომბერთან დაკავშირებით. ზოგადად იმ ძალიან ბევრ გაკეთებულ საქმესთან დაკავშირებით, რომელიც მას გაუკეთებია საქართველოსთვის. ჩვენ პატივი უნდა ვცეთ მის არჩევანს, თუმცა, მე შევეცდები პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, დავარწმუნო ივანიშვილი, რომ გარკვეული პერიოდი დარჩეს პოლიტიკაში, რადგან ვთვლი, რომ საქართველოსთვის იქნება ძალიან კარგი ბურჯანაძე პრეზიდენტად და ბიძინა ივანიშვილი პრემიერ-მინისტრად. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი წასვლით სერიოზული პრობლემები იქნება ქვეყანაში, თუმცა ამ პრობლემებს მე ნამდვილად თავს გავართმევ. იმ ფონზე, როდესაც ბატონი ბიძინა აკეთებს განცხადებას, რომ ყველა შემთხვევაში აპირებს წასვლას, საზოგადოება უნდა დაფიქრდეს არჩევანის გაკეთების შემთხვევაში და ვფიქრობ, რომ ეს არჩევანი ნამდვილად არ იქნება მარგველაშვილის სასარგებლოდ, — აცხადებს ბურჯანაძე.**

### რუსთავში „ქართული ოცნების“ შტაბი „ნაციონალებით“ გაივსო

**ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ბიძინა ივანიშვილი „ექსპო ჯორჯიაში“ შეკრებილ აქციის მონაწილეებს შეხვდა. ბიძინა ივანიშვილმა, საგამოფენო ცენტრის დატოვებამდე, მათი მოთხოვნები მოისმინა და აღნიშნა, რომ ცალკეულ პრეტენზიებს არ იზიარებს.**

**პრემიერ-მინისტრმა აქციის მონაწილეები „ნაციონალური მოძრაობის„ წარმომადგენლების „ნაცებად“ მოხსენიებისთვისაც გააკრიტიკა და მათ თანამოქალაქეებისადმი პატივისცემისკენ მოუწოდა.**

**როგორც ივანიშვილმა აღნიშნა, შეუძლებელია თვითმმართველობებში მომუშავე ადამიანების სრულიად ჩანაცვლება.**

**— თქვენ უნდა შეეგუოთ იმას, რომ ზოგიერთი „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი იქნება, ნაწილი კი „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი. თქვენ გელოდებათ ერთ წელიწადში თვითმმართველობების არჩევნები და თქვენი ამგვარი პრეტენზიები მიუღებელია, რადგან თქვენი მოთხოვნების შესახებ ჩემთვის ცნობილია, — მიმართა პრემიერ-მინისტრმა „ექსპო ჯორჯიაში“ შეკრებილ მოქალაქეებს. აქციის მონაწილეები კი მიიჩნევენ, რომ ბიძინა ივანიშვილის ეს პოზიცია მის არაინფორმირებულობას უკავშირდება და მოითხოვენ ხელისუფლებამ მეტი დრო დაუთმოს ქვემო ქართლის რეგიონს და კონკრეტულად რუსთავს. აქციის მონაწილეთა მტკიცებით, „ქართული ოცნების“ შტაბები რუსთავში „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებით კომპლექტდება.**

ინტერპრესი

# თურქული ბიზნესის „სასათბურე პირობებში“ ჩაყენება შეიძლება პრივილეგირებულ ქართველთა ნახელავია

***აჭარაში** წინასაარჩევნო ციებ-ცხელება დაიწყო. მართალია, ჯერჯერობით ოცნების ფავორიტის გიორგი მარგველაშვილის შტაბი სრულად არაა დაკომპლექტებული, მარგამ ეს ამომრჩევლის განწყობას სიმძაფრეს არ აკლებს. პირიქით, მითქმა-მოთქმის საბაბად ის იქცა, რომ მეოცნებეებმა მათი სასურველი პრეზიდენტობის კანდიდატის შტაბის უფროსი ჯერჯერობით ვერ ნახეს. ვისაც ეს თანამდებობა შესთავაზეს, როგორც სანდო წყარომ მაცნობა, მან ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ივანიშვილის ბათუმური კოალიციის ძირითადი ბირთვი რესპუბლიკური პარტიაა. რესპუბლიკელები კი ყოველმხრივ არიდებენ თავს შტაბის უფროსად მათი თანაპარტიელი დაასახელონ. ამის მიზეზიც აქვთ, კარგად იციან აქაური ამომრჩევლის მათდამი დამოკიდებულება. გარდაუვალ ჩაფლავებას კი ურჩევნიათ ვინმე სხვას შეაწმინდონ ხელი და საარჩევნო მღვრიე მორევიდან მშრალად გამოვიდნენ.*

*ამ და სხვა პრობლემაზე, რაც დღეს აჭარას მოჭარბებულად აწუხებს, „საქართველოს რესპუბლიკას“ ესაუბრა საქართველოს 1992 წლის მოწვევის პარლამენტის წევრი და ფრაქცია „სამართლიანობის“ თავმჯდომარე, საზოგადოებრივ ექსპერტთა კავშირის თავმჯდომარე **თამაზ ცინცაძე**.*

ჩვენთან საუბარი მან ასე დაიწყო:

— მკითხველს უნდა ახსოვდეს გასული წლის ოქტომბერში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდი, პოლიტიკური დაპირისპირებები, ბევრი გამოცდილი და ახალბედა პოლიტიკოსის მიერ გაკეთებული განცხადებები, ბათუმში აბდულ აზიზის სახელობის მეჩეთის აშენებასთან რომ იყო დაკავშირებული. ერთნი მხარს უჭერდნენ მოსაზრებას, რომ მეჩეთი ბათუმის ცენტრში აშენებულიყო. მეტიც, ეს მშენებლობა უცხოეთიდან რომ დაფინანსებულიყო. ამ დროს ბევრმა თავისი სახე აჩვენა და ისიც კარგად გამოჩნდა, თუ ვინ ვის ინტერესებს ემსახურებოდა. ძნელი არ იყო ერთმანეთისაგან გაგვერჩია, ვინ იყო საკუთარი ქვეყნის ინტერესებზე ორიენტირებული პოლიტიკოსი და ვინ სხვისი დაკვეთების შემსრულებელი.

პოლიტიკური გაერთიანება „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერმა დავით თარხან-მოურავმა, აქტივზე დაყრდნობით, ბათუმში მოსახლეობის მასობრივი გამოკითხვის ჩატარება მოახერხა, რის შედეგებმა აშკარად ცხადყო, რომ ბათუმელთა აბსოლუტური უმრავლესობა. მხარს არ უჭერდა ქალაქის ცენტრში აბდულ აზიზის სახელობის მეჩეთის აშენებას. ბათუმელთათვის და არა მარტო მათთვის, კატეგორიულად მიუღებელი იყო მეჩეთის მშენებლობის უცხოეთიდან დაფინანსება. აჭარაში მეჩეთების მშენებლობა არასდროს შეფერხებულა, თუ იგი მლოცველთა ინტერესებს უკავშირდებოდა და მათივე თანხებით შენდებოდა. ითქვა ისიც, რომ აჭარაში ისლამის მიმდევრებს ბოლო წლებში სალოცავების პრობლემა არ ქონიათ.

ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრ აქაურთან ერთად უფრო მეტ სიფრთხილეს იმიტომაც ვიჩენდით, რომ ძალიან კარგად გვახსოვდა რა უხერხულ ვითარებაში ვვარდებოდით, როცა ბევრი პოლიტიკოსი ახლო წარსულში აჭარლების მისამართით არ ერიდებოდა, ეთქვა „თქვენ გაღმით იყურებით“, „თუ ქართველები ხართ, იქართველეთ“. მურმან დუმბაძეს ზოგი ყოფილი თანაპარტიელი, მათ შორის ისინიც, ვინც მაღალ იდეალებზე პრეტენზიას აცხადებს, მოურიდებლად მიმართავდნენ „შენი თავი მართლა ქრისტიანი ხომ არ გგონიაო“, ასეთივე პროვოკატორულ განცხადებებს არც ბათუმელ „რესპუბლიკელთა“ დღევანდელი ლიდერები მორიდებიან, ამას თუ მურმან დუმბაძე არ დამიდასტურებს, იგი მის ნამუსზე იყოს.

ისე კი „გაღმით“, ანუ თურქეთისკენ რეალურად ვინ იყურებოდა, ეს 2008 წლის აგვისტოში, საომარი მოქმედებების დროს გამოჩნდა, როცა ზოგიერთი ვაიპოლიტიკოსი და სამშობლოზე ვითომდა „უზომოდ შეყვარებულის“ პრეტენზიის ადამიანები სარფის საზღვარსა და აღმოსავლეთით აზერბაიჯანის საზღვარს, „წითელ ხიდს“ რომ მიაწყდა. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ხელვაჩაურსა თუ, იქვე მახოში რუსი მფრინავების მიერ ჩამოყრილმა ყუმბარებმა უბრალო ხელვაჩაურელი თუ ბათუმელი ვერ შეაშინა, თურქეთში მცხოვრები ნათესავების მიერ შეთავაზებაც არ გამოუყენებიათ, აქეთ გადმოდით და თავს უშველეთო.

**— ბატონო თამაზ, თურქეთზე მინდა გკითხოთ, უფრო ზუსტად იმ თურქებზე, ბათუმი რომ წალეკეს. ზოგი ამბობს ბათუმში 20 ათასი თურქიაო, ზოგი 30 ათასიო. ზუსტი მონაცემების მოპოვება შეუძლებელია, რადგან ასეთი აღრიცხვა არ არსებობს. ფაქტი ერთია, ბათუმში უკვე არის თურქული უბნები, მაგალითად, მეჩეთის მიმდებარე ქუჩები. თურქები ბათუმში მნიშვნელოვან სამრეწველო საწარმოებს ფლობენ. ბათუმის ბულვარი, რომელიც ყველაზე მაღალშემოსავლიან ადგილად ითვლება, მათი ინტერესის სფერო კი არა, სამფლობელო გახდა. ეს იმ ფონზე, როცა პირადად მე არ მეგულება ქართველი, რომელსაც თურქეთში თუნდაც ერთი პატარა მაღაზია, ან კაფე ჰქონდეს. აშკარაა სახელმწიფოების — თურქეთისა და საქართველოს მხრიდან არაადეკვატური დამოკიდებულება საკუთარი ქვეყნის მოქალაქეების მიმართ ბიზნესის წარმოებაზე და ქონების დაბანდებაზე.**

— შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ ბათუმში თურქების შევიწროება დავიწყოთ (რაც სასიკეთო პრცესებს არ გამოიწვევს), მაგრამ იქნებ ღირდეს უხმაუროდ გაირკვეს, თუ რა პროცესს უკავშირდება ბათუმში თურქი მოქალაქეეებისათვის მცირე ბიზნესის განვითარებისა და დიდი მოგებისათვის „ეკონომიკური ოაზისის“ შექმნა. შეიძლება ვინმე დაინტერესდეს ბათუმის ზღვისპირა პარკში, ზღვის სანაპიროზე, თუ კაფეებში გაზრდილი ფასები რას, ან ვის უკავშირდება. ან ისიც მოიკითხონ, რატომ სდუმს შესაბამისი სამსახურები იმაზე, რომ მათი საკანალიზაციო და ნახმარი წყლის სისტემები პირდაპირ ზღვაზეა მიერთებული. ეს არავის რატომ არ აწუხებს? არა მგონია, შემთხვევითი იყოს ბათუმში თურქულ მცირე ბიზნესზე დაწესებული შეღავათები.

**— ბატონო თამაზ, ერთი წამით შეჩერდით და დააკონკრეტეთ, ვის გულისხმობთ?**

— დაკონკრეტებისაგან ამჯერად თავს ვიკავებ, ისე გამორიცხული არაა, თურქული ბიზნესის „სათბურის“ პირობებში ჩაყენება ქართველთა პრივილეგირებულ ჯგუფს უკავშირდებოდეს.



ბათუმელთათვის აშკარად მიუღებელი და აუტანელია, ზოგიერთი თურქი პოლიტიკოსი აჭარაზე დაუფარავად პრეტენზიას რომ აცხადებს. მაგალითად, თურქეთის მეჯლისის თავმჯდომარეს საჯაროდ განუცხადებია „აჭარას თოფის გასროლის გარეშე დავიბრუნებთო“. შეიძლება ასეთ პროვოკაციულ განცხადებას არ უნდა ავყვეთ, მაგრამ თავგასული პოლიტიკოსების ასეთი განცხადებები უპასუხოდ არ უნდა დარჩეს. ეს ქართველ პოლიტიკოსთა ვალია, მაგრამ ისინი ხშირად გადაჭარბებულ სიმშვიდეს და დადუმებას არჩევენ, რაც არა მგონი გამართლებული იყოს.

ზემოხსენებული გარემოებები ბათუმელებს ხშირად მოთმინებას გვაკარგვინებდა და ამიტომ იყო რომ ბათუმში აბდულ აზიზის სახელობის მეჩეთის საწინააღმდეგო განცხადებებს ვაკეთებდით, არც საგაზეთო პუბლიკაციებს მოვრიდებივარ.

**— გეთანხმები, თქვენი პოზიცია მუდამ შეუვალი იყო და არის. არ გიჭირთ ასე ცხოვრება?**

— როგორ არა? საპასუხოდ ზოგმა ვაიპოლიტიკოსმა და თავისი შინაგანი განწყობით პროვოკატორმა, ათასგვარი ეპითეტებით შეგვამკო. თბილისელმა მედიაექსპერტმა ზვიად ქორიძემ, ბათუმელმა „რესპუბლიკელმა“ გიორგი მასალკინმა „შავრაზმელებად“ და „ფაშისტებად“ მოგვნათლეს. მსგავსი შეფასება არც მურმან დუმბაძეს დააკლეს. ბატონი ზვიად ქორიძე უფრო შორს წავიდა, როცა პრესაში დაწერა თამაზ ცინცაძე აცხადებს ქართული ენაც ხომ ღმერთის ენააო.

მან არც იმას გაუკეთა ანალიზი, თუ რა კონტექსტში ვთქვი ეს. არადა ჩემი ნათქვამი „ქართული ენა რომ სხვა ენებთან ერთად ღმერთის ენაა“ იგი საქილიკო თემად რატომ უნდა ქცეულიყო?! ქართული ჟურნალისტიკის ამ „ვარსკვლავმა“ იოანე ზოსიმეს თხზულება რომ წაიკითხოს, არ აწყენს.

მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებით გიორგი მასალკინისა და მურმან დუმბაძის დაპირისპირების შემდეგ, როცა მურმან დუმბაძემ გიორგი მასალკინს არაქართულ წარმომავლობაზე მიანიშნა, ბათუმელმა რესპუბლიკელმა, ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარის ძმამ ზაზა ჩავლეიშვილმა თავის ფეისბუქზე აჭარლების გასაგონად განცხადება დადო — „თურქეთის სამასწლიანი ბატონობის შემდეგ, თავად თუ იცით, ვინ ხართო“. ეს შეურაცხმყოფელი განცხადება, არა მარტო მურმან დუმბაძეს, არამედ ყველა აქაურ ქართველს — აჭარელს შეეხო. ამ უკანასკნელმა კი ჩვენი თხოვნა, ამ განცხადებით ჩვენზე მიყენებული შეურაცხოფისათვის ბოდიში მოეხადა, არაფრად ჩააგდო.

**— ბატონო თამაზ, ეს რა თქვით, ვის აკრიტიკებთ, დღევანდელ ხელისუფალთ? არადა ისინი თქვენი მახლობელი პიროვნების მურმან დუმბაძის ფავორიტები არიან.**

— ამას წინათ, როცა ბიძინა ივანიშვილმა მაჟორიტარ დეპუტატებზე თქვა, ადგილობრივ ფეოდალებს დაემსგავსნენო, პირველ რიგში მურმან დუმბაძე იგულისხმა. ვიცე-სპიკერმა კი ტელევიზიით ამაყად განაცხადა „დიახაც საკადრო პოლიტიკაში ვერეოდი, ახლაც ვერევი და მომავალშიც ჩავერევიო“. ხომ ავშენებულვართ და ეგაა.

**— მოდით შევთანხმდეთ, მურმან დუმბაძეზე სხვა დროს ვისაუბროთ. მე კარგად მესმის ჟურნალისტებს და პირადად თქვენ რა პრეტენზიებიც გაქვთ მის მიმართ. იგი საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერია. მე კი ახლა ადგილობრივ , აჭარის ჩინოვნიკებზე მოგახსენებთ.**

აჭარაში გამარჯვებულმა პოლიტიკურმა ალიანსმა გიორგი მასალკინს დამსახურება დაუფასა და აჭარის უმაღლესი საბჭოს კომისიის თავმჯდომარედ დასვეს. ხოლო ჩვენი მეორე მეხოტბე ზაზა ჩავლეიშვილი გიორგი მასალკინის თანაშემწედ ვიხილეთ. თუმცა, როგორც ამბობენ, თავგასული ზაზა ჩავლეიშვილის პოლიტიკური ამბიციები გაცილებით დიდია, რასაც, ალბათ, მიაღწევს კიდეც, თუ მას იმ პროვოკაციისათვის პასუხი არ მოეთხოვა. ყოველივე ამას რა ჰქვია, მკითხველმა შეაფასოს.

რადგან პოლიტიკოსთა მიერ გადადგმულ პროვოკატორულ ნაბიჯებს ვეხები, აქვე სხვა კონკრეტულ მაგალითებზეც შევჩერდები. როცა ბათუმელმა „ქართული ოცნების“ ბლოკის წარმომადგენლებმა ბიძინა ივანიშვილის წინაშე დადებული პირობა შეასრულეს, აჭარის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურის შესათანხმებლად ისინი თბილისში ერთმანეთს შეხვდნენ. ბატონმა ბიძინამ აჭარის მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობაზე მურმან დუმბაძის კანდიდატურას მხარი არ დაუჭირა და მათ ისიც შეახსენა, რომ ბატონ მურმანს უფრო დიდი ფუნქციის შესრულება და მაღალ პოლიტიკურ რანგში მოღვაწეობა მოუწევდა, რაც მისი პოლიტიკური გუნდისათვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე აჭარის მთავრობის თავმჯდომარედ დანიშვნა. იმ დღესვე ცნობილი გახდა, რომ ბატონი ბიძინა, აჭარის მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე საკუთარ კანდიდატურას წარადგენდა. როგორც შემდგომ გახდა ცნობილი იგი ბატონ არმაზ ახვლედიანს გულისხმობდა. ეს რომ ბათუმელმა ემისრებმა იყნოსეს, მის გზიდან ჩამოსაცილებლად პროვოკაციები აირჩიეს. აქ პირველობა ქალბატონმა მედიკო ვასაძემ იკისრა და ბატონი არმაზის მისამართით შავი პიარი არ დაიშურა და მიზანსაც მიაღწია — ბატონ არმაზის საწინააღმდეგო „კომპრომატების“ კორიანტელი დააყენა. აჭარის მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩილ ხაბაძის კანდიდატურაზე შეჩერდნენ.

ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ამ პოლიტკური ავანტიურის საპასუხოდ მოგვიანებით ბატონ არმაზ ახვლედიანს „ქართული ოცნების“ პოლიტიკური მდივნობა შესთავაზა. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური მდივნის თანამდებობას მეტი დატვირთვა აქვს, ვიდრე ფუნქციადაკარგულ აჭარის ავტონომიის მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობას. მთავარი ის კი არ გახლავთ, ბატონ არმაზ ახვლედიანს „ქართული ოცნების“ პოლიტიკური მდივნის თანამდებობაზე რეკომენდაცია ვინ გაუწია, მთავარი ის გახლავთ, რომ იგი ამ ნდობას იმსახურებს. მას არც კომპეტენტურობა და ინტელექტი, რაც მთავარია, არც პოლიტიკური სიმწიფე არ აკლია. უმთავრესია, რომ იგი სახელმწიფო აზოვნების უნარითაა დაჯილდოებული, რისი დეფიციტიც დღეს აჭარაში აშკარაა. ერთი რამ უნდა ვიცოდეთ, პროვოკატორებისაგან სახელმწიფო მოხელე არ დადგება.

**— თქვენ კი ამბობთ, სახელმწიფო მოხელე არ დადგებაო, მაგრამ ეს ხალხი ხომ შედგა, როგორც სახელმწიფო მოხელეები. რამდენადაც ვიცი, თქვენ, ამხელა გამოცდილების მქონე კაცს საქართველოს პარლამენტის ყოფილ წევრსა და ფრაქციის თავმჯდომარეს, ყოფილი მაღალი თანამდებობის სახელმწიფო მოღვაწეს, აჭარის ახლანდელმა ხელისუფლებამ მრჩევლის თანამდებობაზეც კი გითხრათ უარი. ამით ჩვენ ყველას მიგვანიშნა, ვისაც რესპუბლიკელები არ მოგწონთ, ჩვენთან არაფერი გესაქმებათო. ამით ავთანდილ ბერიძემ, არჩილ ხაბაძემ, აჭარის მინისტრებმა საზოგადოება ერთხელ კიდევ დაჰყვეს „ჩვენიანებად“ და „ჩვენს მტრებად“.**

— 2005 წელს აჭარის მთავრობის სახლთან გამართულ პროვოკაციულ აქციაზე, რომელიც ახლანდელი აჭარის უმაღლესი საბჭოს კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა მედეა ვასაძემ თავის თანამოაზრე ქალბატონებთან ერთად მოაწყო, სკანდირებდნენ, თამაზ ცინცაძეს და ასლან აბაშიძის სხვა თანამოაზრეებს მთავრობის აპარატში რა ესაქმებათ, აბაშიძის ხელისუფლების შეცვლას ენერგია ჩვენ შევალიეთო. ამ განცხადებას აკეთებდა აჭარის მთავრობის წინა ხელმძღვანელობაზე განაწყენებული პიროვნება. განაწყენება, პირველ რიგში, მის ბიზნესინტერესებს უკავშირდებოდა. იგი იმიტომ გაცეცხლდა, რომ ბათუმის გემთმშენებელი ქარხნის მიერ გამოშვებული ბოლო კატარღა, მისი ინტერესების გათვა-

ლისწინებით, არ გაიყიდა. ეტყობა მას საშუამავლო ინტერესი ამოძრავებდა. მაგრამ ის არ გაითვალისწინა, რომ მე აბაშიძის მეხოტბე არასოდეს ვყოფილვარ, პირიქით, ასლან აბაშიძის გუნდიდან, მთავრობის აპარატიდან 1995 წლის 1 ოქტომბერს წავედი. ჩემი სახელი და გვარი საპროტესტო განცხადების სკანდირების დროს რომ არ გამოდგებოდა, არც ეს გაითვალისწინა დღევანდელმა დეპუტატმა და კომისიის თავმჯდომარემ.

იმედია, პროვოკაციით მიყენებული ტკივილისა და უსამართლობის განცდა ქალბატონ მედეაში ახლა მაინც გაიღვიძებდა, როცა ქედელმა ქალბატონმა, მასთან დაპირისპირება სასამართლოს განხილვის თემად აქცია.

ყოველივე ამის შეხსენება იმიტომაც დამჭირდა, რომ განვაცხადო – კარგად ვიცი ვინ ვინ არის, მათ წარსულს კარგად ვიცნობ, არც ის მიჭირს ზოგიერთის პოლიტიკური მისწრაფება ამოვიკითხო და ბედის მაძიებელი, თუ სკამის მაძიებელი და ქვეყნის ერთგული, ერთმანეთისგან გავარჩიო.

ბევრისაგან განსხვავებით, როგორც საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი, ამომრჩევლებთან მიღების საათების დაწესებას და ამომრჩევლებთან შეხვედრას, მიცემული პირობის შესრულების ანგარიშს არ ვერიდებოდი. ახლა, როგორც ჩანს, დეპუტატები ამომრჩევლებთან უშუალო დიალოგისათვის ვერ იცლიან, აჭარის უმაღლესი საბჭოს ზოგი დეპუტატი იმასაც ბედავს, განაცხადოს, ამომრჩეველთა მიღებით ჩემი აპარატია დასაქმებულიო.

**– ბატონო თამაზ, რაც შეეხება აპარატსა და უმაღლესი საბჭოს კომისიებს, აქ ისედაც გაბერილ შტატებს, რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, ახლახან კიდე თითო შტატი დაემატა. აქაოდა მრჩეველთა საბჭო უნდა შეიქმნასო. თქვენი ადგილი არც ამჯერად გამოჩნდა აქ?**

– რაც შეეხება აჭარის უმაღლეს საბჭოში ყველა ხუთივე კომისიასთან თითო საშტატო ერთეულის დამატებასა და მათ ბაზაზე მრჩეველთა საბჭოსა თუ ჯგუფის შექმნის იდეა, აჭარის უმაღლესი საბჭოს კომისიის თავმჯდომარის ანზორ თხილაიშვილის ინიციატივა გახლდათ, ეს იდეა ზოგიერთი კომიტეტის თავმჯდომარის კაპრიზს, პროვოკაციასა და მათთვის არასასურველ ადამიანებთან ანგარიშსწორებას შეეწირა, შედეგი ის გახლავთ, რომ საქმემ წააგო. ბევრ მათგანს მე არა თუ ხალხის მსახურს, არამედ პირადი ინტერესების მოგვარებით დაკავებულ და დაღლილ ადამიანებად მივიჩნევ. ბევრი იმას ვერ ითვალისწინებს, რომ მისივე წამოწყებულ უხერხულობას შეიძლება თავად წააწყდეს. ბევრს ავიწყდება, რომ სხვისთვის დაგებულ მახეში შეიძლება თავად გაებას. როცა თანახმა ვიყავი, ფაქტობრივად თვეში თუნდაც 240 ლარის ანაზღაურებით მემუშავა ამის სანაცვლოდ ვთმობდი პარლამენტის ყოფილი წევრის 560-ლარიან საპენსიო ანაზღაურებას. ამაზე თანახმა ვიყავი, რადგან მინდოდა საადგილმამულო პრობლემის მოგვარებას და აჭარაში მიწის რეფორმის ხელოვნური ჩაშლით გამოწვეული გაუგებრობის, თუნდაც ნაწილობრივ გასწორებისათვის საჭირო მუშაობაში მონაწილეობა მიმეღო, ამას „ხალხის მსახურმა" დეპუტატმა ხელი შეუშალა. ამას პროვოკაცია შეიძლება ვუწოდო, მას სხვა სახელს ვერ დავარქმევ. ისინი ანგარიშს არ უწევენ იმას, რომ აჭარაში სამართლიანობის აღდგენა მიწის რეფორმის საკითხის გარკვევით დავიწყოთ.

**– თქვენი გამკვირვებია, ბატონო თამაზ, რა გაოცებთ, როცა ბიძინა ივანიშვილის ოფისი გაიხსნა შარშან ბათუმში, მაშინ არ ამბობდით, აქ ისეთმა ხალხმა მოიყარა თავი, ესენი ქვეყნის სასკეთოდ ვერაფერს გააკეთებენო? ჰოდა, აგიხდათ პროგნოზი. აბა რა გეგონათ, ტაშს რომ უკრავდით მათ.**

– როგორც ჩანს, ბატონ ბიძინა ივანიშვილის გუნდში, კოალიცია „ქართულ ოცნებაში" გაერთიანებულმა პოლიტიკოსებმა მოსახლეობისთვის მიცემული დაპირისპირების შესრულებას, სამართლიანობის აღდგენაში ბატონ ბიძინას დახმარებას პირადი ინტერესების მოგვარება ამჯობინეს. დღითი დღე აშკარა ხდება, რომ რესპუბლიკურ პარტიასა და ნაციონალურ მოძრაობას ოკეანის გაღმა ერთი პატრონი ჰყავს. ეს კი სამართლიანობის აღდგენისა და საზოგადოებისათვის მიცემული დავალებების შესრულებას აფერხებს.

არა მარტო მე, ბევრი ჩემსავით მოაზროვნე ადამიანი ჩააფიქრა პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ, რომელიც დაახლოებით ასე გამოიხატება: ნაციონალურ მოძრაობას უნდა გავუფრთხილდეთ, შევინარჩუნოთ, თუ გვინდა ქვეყანაში დემოკრატია განვავითაროთო. ამას ნაციონალების მეტი თავგასულობა მოჰყვა. საზოგადოებაში დაბნეულობა გამოიწვია იმ ათასობით პირადი ცხოვრების ჩანაწერების განადგურების მოთხოვნამ, რომელიც დღის წესრიგიდან არ იხსნება, ამ დროს არავინ კითხულობს, ვინ იყვნენ ის თავგასულები, ეს რომ ჩაიდინეს, ვინ და ვისი დავალებით მოხდა ჩანაწერების შესრულება. მისი ავტორისა და შემკვეთების დადგენის გარეშე მათი განადგურება არ უნდა მოხდეს.

**– არ შემიძლია არ გკითხოთ მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებზე, როგორ ფიქრობთ, აჭარა პრეზიდენტობის რომელ კანდიდატს დაუჭერს მხარს?**

– მე იქნებ მქონდეს ამაზე გარკვეულად ჩამოყალიბებული აზრი, მაგრამ ვთვლი ახლა ამის თაობაზე განცხადების გაკეთება უადგილოა, უფრო სწორად ნაჩქარევი იქნება. ისე კი, გეტყვით ერთს, ბათუმელი რესპუბლიკელების კოალიციისა და ქვეყნისადმი ერთგულება, მათი რეიტინგი მაშინ გამოჩნდებოდა, თუ ისინი საპრეზიდენტო არჩევნების ბათუმის შტაბში ხელმძღვანელის ძებნას სხვაგან კი არ დაიწყებდნენ, არამედ საკუთარ თავზე აიღებდნენ ამ მისიას (ბატონი გიორგი მასალკინი, ან ძმები ჩავლეიშვილებისაგან ერთ-ერთი). მაშინ გამოჩნდებოდა მათდამი საზოგადოების პატივისცემა, ავტორიტეტი და საქმის ერთგულება, მაშინ მოახდენდნენ მათი პოლიტიკური ძალების დემონსტრირებას, მაგრამ ამას თავი აარიდეს, რადგან ამ საქმეში ხრიკები და ავანტიურა არ გამოდგება. ამისათვის საზოგადოების მხრიდან აღიარება, ავტორიტეტია საჭირო. ერთადერთი, რაც მათ არ აკლიათ ეს განათლებაა, რომელსაც ყოველთვის მხოლოდ საკუთარი მიზნების შესასრულებლად იყენებდნენ.

ყველას გასაგონად მინდა განვაცხადო, რომ ჩვენს ქვეყანას ნამდვილი ამერიკული დემოკრატია სჭირდება, რაც მათ მათთვის ააშენეს და არა ისეთი, რომელსაც ჯონ მაკკეინის და სხვათა კარნახით ჩვენთან ნაცმოძრაობა თუ სხვები ამკვიდრებდნენ. ამის შედეგად, რაც მივიღეთ, იგი გამოკვეთილია. ახლა სიტყვა ქართველ ამომრჩეველზეა. ქართველმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს ქვეყანას ვის ჩააბარებს, საკუთარ თავზე უზომოდ შეყვარებულ ბედის მაძიებლებს, თუ ქვეყნის გადარჩენისათვის თავდადებულ ადამიანებს. ეს მოახლოებულმა არჩევნებმა უნდა გადაწყვიტოს.

მკითხველი ერთ რამეში უნდა დამეთანხმოს. რომ ეს საკითხები სულ მალე, ადგილობრივი არჩევნების დროს კიდევ უფრო აქტუალური გახდება. დარწმუნებული ვართ, საზოგადოება ხელისუფლების მიმართ უფრო მომთხოვნი იქნება, ნაციონალური მოძრაობის მმართველი ჯგუფის მიმართ ხელისუფლების გადაჭარბებული მიმტევებლობა საზოგადოებას აღიზიანებს. ქართული ოცნების კოალიციამ ხელი არ უნდა შეუწყოს, რომ საპარლამენტო არჩევნების დროს სიყალბის გზით ნაციონალების კანდიდატმა მეორე ადგილი დაიკავოს. სიყალბისათვის ხელის შეწყობა დანაშაულის ტოლფასი იქნება.

ხალხის ნერვებზე თამაშს თავი დაანებეთ, იგი ცუდად დამთავრდება.

**ამირან კილურაძე,**
**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის"**
**აჭარა-გურიის საკორესპონდენტო**
**ბიუროს ხელმძღვანელი.**

***P. S.* ამ საგაზეთო პუბლიკაციაში არაერთი პოლიტიკოსია მოხსენიებული, მათი კომენტარები იმ უბრალო მიზეზის გამო არ არის წარმომადგენილი, რომ ზოგს ტელეფონი ჰქონდა გამორთული, ზოგიც ჩვენთან ინტერვიუს ერიდება და სხვადასხვა საბაბით გაგვირბის.**

***თუ ბატონ თამაზ ცინცაძის მიერ დასახელებულ პიროვნებებს ამ სტატიაში გაჟღერებულ ფაქტებთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთების სურვილი გაუჩნდებათ, რედაქცია მზადაა მათ საგაზეთო ფართი დაუთმოს.***

***და კიდევ ერთი. პუბლიკაცია მზად იყო დასაბეჭდად, როცა ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ბატონ თამაზ ცინცაძეს აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ავთანდილ ბერიძემ შესთავაზა მრჩევლის პოსტი... საზოგადოებრივ საწყისებზე.***

***ამაზე კომენტარები თქვენთვის მოგვინდვია.***

***ა. კ.***

## განათლება

# როტარის ჰუმანიტარული პროექტი

## დევნილი სტუდენტების დასახმარებლად



**2012 წ. სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში (Georgian Journal, Messanger, Vecherni Tbilisi, როტარის საოლქო ჟურნალში District Magazine) დაიბეჭდა მასალები როტარის ჰუმანიტარულ სამენტორო პროექტზე, რომელიც მიზნად ისახავდა დევნილი სტუდენტების დახმარებას საქართველოში.**

„როტარი კლუბის თბილისი აკადემია" (Rotary Club of Tbilisi Academia), რომელიც 2009 წ. დავაარსე, ბევრს აკეთებს იმისათვის, რომ გააადვილოს და უფრო სრული გახადოს დევნილი ახალგაზრდების ინტეგრაცია ჩვენს საზოგადოებასთან და მის სხვადასხვა ინსტიტუციასთან.

როტარის საერთაშორისო ორგანიზაციამ (Rotary International) უკვე ორჯერ დააფინანსა სამენტორო პროექტი საქართველოში. პროექტის ავტორობა ეკუთვნის ნებრასკის შტატის (აშშ) ერთ-ერთ კლუბს და „როტარი კლუბის თბილისი აკადემიას". ამ პროექტის ჩარჩოებში 2011-2012 სასწავლო წელს ქართულმა როტარი კლუბმა მიიწვია 25 მენტორი 60 დევნილ სტუდენტთან სამუშაოდ. პროფესორები, საქართველოს პარლამენტის და საგარეო უწყების თანამშრომლები (დიპლომატიური აკადემიის კურსდამთავრებულები), აფხაზეთის მთავრობის წევრები ერთი წლის განმავლობაში უსასყიდლოდ ატარებდნენ აკადემიურ და პრაქტიკულ მეცადინეობებს სტუდენტებთან. ყოველ მენტორს ჰყავდა 2-3 სტუდენტი. მენტორები აღრმავებდნენ სტუდენტების პროფესიულ და ზოგად ცოდნას, ამზადებდნენ მათ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, სამსახურის ძიების პროცესისათვის.

არასამთავრობო ორგანიზაცია „დევნილთა დასახმარებლად" ასრულებდა პროექტის ტექნიკურ მხარეს. პროექტის დასრულებისას სამმა სტუდენტმა (მენტორები პროფ. თ. ცინცაძე და პროფ. ნ. კაკაურიძე) დააარსა არასამთავრობო ორგანიზაცია „დევნილი ახალგაზრდობა მოქმედებაში", რაც იყო სამენტორო პროექტის ერთ-ერთი პრაქტიკული შედეგი.

პროექტმა მთლიანობში მიიღო „როტარი ინტერნეშენელის" დადებითი შეფასება. ამიტომ როტარი სისტემის სათაო ორგანიზაციამ გადაწყვიტა კიდევ ერთხელ დაეფინანსებინა სამენტორო პროექტი – მისი მეორე სტადია, ისევ იგივე როტარი კლუბებთან ტანდემში. ჩვენმა კლუბმა შეიტანა საგრძნობი ცვლილებები პროექტში: გააფართოვა პროექტის გეოგრაფია – ამჟამად პროექტი გავრცელდა თელავზეც. თელავის ახალგაზრდული ცენტრის ბაზაზე 6 მენტორი (პროფესორები, ბიზნესმენები) იმუშავებს 20 დევნილ სტუდენტთან. პროექტში შევიტანეთ სტრუქტურული ცვლილებები. მოვიწვიეთ ახალი მენტორები – პროფესურა, ცნობილი პროფესიონალები და ბიზნესმენები; მოეწყობა შემეცნებითი ექსკურსიები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში; ახალი არასამთავრობო ორგანიზაცია „დევნილი ახალგაზრდობა მოქმედებაში" (რომელიც დააფუძნეს შარშანდელი პროექტის სტუდენტებმა) შეასრულებს ლოჯისტიკურ სამუშაოს. წყვილში მუშაობის გარდა (მენტორი, სტუდენტები) დაგეგმილია ყოველთვიური საერთო ლექციები საერთაშორისო ცხოვრების უმთავრესი ასპექტების თემებზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ შეიქმნება დირექტორთა საბჭო, რომელშიც შევლენ პროფესიონალები და ბიზნესმენები – დონორები. საბჭო გააკონტროლებს ახალი პროექტის მიმდინარეობას და იზრუნებს დონორების მოძიებაზე პროექტის მესამე სტადიის განსახორციელებლად. ეს ძალზე მნიშვნელოვანი მომენტია – ამერიკული მხარე, რომელმაც დააფინანსა პროექტი ორი წლის განმავლობაში, ელის აქტიურ ნაბიჯებს ქართული მხარიდანაც. პროექტის შემდეგი სტადიის უზრუნველსაყოფად. არსებული პროექტის ფარგლებში ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მონაწილეობს 60-70 სტუდენტი, მოთხოვნა კი დევნილი სტუდენტების მხრიდან დიდია. დახმარება სჭირდება სხვა სტუდენტებსაც. პროექტის ბოლოს 2014 წლის სექტემბერში შედგება საბოლოო სესია, რომელზეც ყველა მონაწილე შეაფასებს პროექტს, შეავსებს კითხვარებს და მიიღებს საერთაშორისო მნიშვნელობის სერთიფიკატს.

ახალი პროექტი დაიწყო 2013 წლის აგვისტოში, თუმცა, მოსამზადებელი სამუშაო გრძელდებოდა იანვრიდან აგვისტომდე. ამან მოითხოვა ბევრი დრო და ენერგია, მაგრამ ამის შედეგად დაიგეგმა ძირითადი სამუშაო, მოწვეულნი იყვნენ მენტორები, ჩატარდა გასაუბრება სტუდენტებთან. სექტემბერში დაიწყება სტუდენტების მუშაობა მენტორებთან. სამუშაო ჯგუფი – როტარი კლუბის თბილისი აკადემია, მისი მრჩეველი ბ-ი ტომ ქარდველი (აშშ), არასამთავრობო ორგანიზაცია „დევნილი ახალგაზრდობა მოქმედებაში" – ემზადება 2013 -2014 წწ. სამენტორო პროექტის მნიშვნელოვანი ეტაპის დაწყებისათვის.

სექტემბერში თბილიში ჩამოვლენ საპატიო სტუმრები – როტარი ოლქის გუბერნატორი ბ-ი ჯამილ მოუავადი (ლიბანი), მდივანი, ტრენინგების ჩამტარებელი და 35 როტარელი. ეს იქონიებს დადებით გავლენას პროექტზე. გუბერნატორის რჩევები იქნება მნიშვნელოვანი, ისევე როგორც პოტენციური დახმარება მისგან და ოლქისაგან.

ჩვენ ყველანი პროექტის დაწყების, გუბერნატორის და მისი ჯგუფის ჩამოსვლის მოლოდინში ვართ. გუბერნატორის და ლიბანელი კოლეგების ჩამოსვლა შეძენს პროექტს ახალ განზომილებას.

როტარი კლუბის ხელმძღვანელობა მიმართავს ბიზნესმენებს და სხვა პოტენციურ დონორებს წინადადებით შეიტანონ წვლილი სამენტორო პროექტის მესამე სტადიის გახორციელებაში. გავაერთიანოთ ძალები დევნილი სტუდენტების, დევნილი ახალგაზრდების დასახმარებლად. დავეხმაროთ მათ, გახდნენ ჭეშმარიტი პროფესიონალები. გაიფართოვონ თვალსაწიერი, უკეთ გაიცნონ საქართველო და საზოგადოება, რომელშიც ცხოვრობენ, გახდნენ მისი სრულფასოვანი და ღირსეული წევრები.

**თამარ ცინცაძე,**
**პროფესორი, როტარი კლუბის თბილისის**
**აკადემიის დამფუძნებელი პრეზიდენტი**
კლუბის ტელეფონი: 577 46 10 38
ელ-ფოსტა: tamriko@mail.com

## ალიან-ჩალიანი

# კერძო სადაზღვევო კომპანიები ვალდებულებებს არ ასრულებენ

**დეპუტატ კობა დავითაშვილის ინფორმაციით, სადაზღვევო კომპანია „არქიმედეს გლობალ ჯორჯიაში" სახელმწიფო თანხების გადარიცხვას განაგრძობს, ხოლო კომპანიის საშუალო და ქვედა რგოლი უარს აცხადებს პაციენტების მომსახურებაზე და სამედიცინო დაწესებულების მუშაკებისთვის ანაზღაურების გადახდაზე.**

**შესაბამისი განცხადება დავითაშვილმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გააკეთა, სადაც კერძო სადაზღვევო კომპანიები ვალდებულებების შეუსრულებლობაში კიდევ ერთხელ დაადანაშაულა. უნდა შეიქმნას ერთიანი სადაზღვევო ფონდი, რომელმაც ადმინისტრირება საკუთარ თავზე უნდა აიღოს იმ სადაზღვევო კომპანიების ნაცვლად, რომლებიც საკუთარ მოვალეობას არ ასრულებენ, – განაცხადა კობა დავითაშვილმა.**

ინტერპრესი

# მსოფლიო და საქართველო უსერიოზულესი გამოცდის წინაშეა



**არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ გასული კვირა სირიული ციებ-ცხელებით აღინიშნა. იშვიათად მოიძებნება ქვეყანა, რომელიც გაფაციცებით არ ადევნებდეს თვალს სირიას და ამ ქვეყნიდან გამომდინარე აშშ-ს, მისი ევროპელი თუ ახლო აღმოსავლელი მოკავშირეების და მოწინააღმდეგების პოზიციას. იშვიათ გამონაკლისთა შორის საქართველოა და ალბათ მისი მსგავსი ზოგიერთი აფრიკული სახელმწიფო, თუმცა, მათი პოზიცია, გეოგრაფიული სიშორიდან, პოლიტიკური „სიმწიფიდან“ გამომდინარე, გასაგებია.**

რაც შეეხება საქართველოს, მის მედიას და პოლიტიკოსობას არაფერი ეტყობათ აღელვების, არადა სირიული ეპიცენტრი საკმაოდ ახლოა, ხოლო პოლიტიკური — კარს მიღმა. როდესაც პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარე სესიაშვილი თავს უფლებას მისცემს თქვას, რომ სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში, საქართველო „ცივილიზებული მსოფლიოს“ მხარეზე დადგება - ყველაფერი ნათელი ხდება.

პარლამენტარის აზრით, „ცივილიზებული მსოფლიო“ მარტო აშშ-ია, ვინაიდან დანარჩენმა მსოფლიომ, ანუ აშშ-ის მოკავშირეებმა, მტკიცე უარი განაცხადეს სირიის წინააღმდეგ ომში ჩაბმაში. შთამბეჭდავი იყო ინგლისის პარლამენტის გადაწყვეტილება - არავითარი ომი, თუნდაც მაშინ, თუ გაეროს უშიშროების საბჭო გადაწყვეტს ამას. ნატოს გენერალური მდივნის რასმუსენის განცხადებით, არც ნატო მიიღებს საომარ გადაწყვეტილებას უშიშროების საბჭოს გარეშე.

სირიის საკითხმა ამერიკა-მოკავშირეებს შორის სერიოზული აზრთა სხვაობა გააჩინა. როგორც ჩანს, ევროპის ქვეყნებს მობეზრდათ სხვის ომში ყოფნა, თანაც პერმანენტულად, მრავალი წლის განმავლობაში. ევროპის ქვეყნების მთავრობები საკუთარი ხალხის მხრიდან მუდმივ კონტროლს განიცდიან და ამდენად არ სურთ თბილი სავარძლების დაკარგვა სირიისთვის, მითუმეტეს, როდესაც საკითხი თითიდან გამოწოვილია.

ევროპელთა 62% წინააღმდეგია სირიის ომის გაჩაღების. ანალოგიური ვითარებაა აშშ-ც, სადაც მოსახლეობის 60% გამოდის ომის წინააღმდეგ. მარტო აშშ-ის ადმინისტრაცია და პრეზიდენტი ობამაა მზად სირიის ხელისუფლების დასასჯელად. ობამას სირიის დაბომბვის გადაწყვეტილება მიღებული აქვს და ამჯერად კონგრესს უწევს ზეგავლენას შესაბამისი ნაბიჯის გადადგომისათვის.

**ბაშარ ასადის სადამსჯელო ოპერაციას, საჰაერო თავდასხმის სახით რომ სირიელები შეეწირებიან, თანაც არანაკლები, ვიდრე ქიმიური თავდასხმის დროს, ვაშინგტონს არ აღელვებს. როგორც ჩანს, მას არც ის აღელვებს, რომ საჰაერო თავდასხმამ შეიძლება მძიმე შედეგი გამოიწვიოს — ირანის კონფლიქტში ჩართვით. არც ისაა გამორიცხული, რომ გამწარებულმა სირიამ ისრაელს შეუტიოს — როგორც აშშ-ის მოკავშირეს და ა.შ.**

ამერიკელთა წყალობით, მსოფლიო უსერიოზულესი გამოცდის წინაშეა. თუ აშშ შეძლებს საკუთარი ამბიციების მოთოკვას, მსოფლიო გადაურჩება განსაცდელს, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაჭირდება ხვალინდელი დღის პროგნოზირება. სწორედ ეს გაიაზრა ინგლისის პარლამენტმა, რომელიც ყოველთვის იზიარებდა აშშ-ის პოზიციას — არჯენტიიდან დაწყებული გასულ 30 აგვისტომდე.

**მეორე მსოფლიო ომის მსვლელობის დროს, პირველი შეხვედრა აშშ-ს პრეზიდენტ რუზველტსა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ჩერჩილს შორის ნიუფაუნდლენდის არჯენტიის წყნარ ყურეში, სამხედრო გემზე გაიმართა. ერთ-ერთი საუბრის დროს, გაშვერილი საჩვენებელი თითით, ჩერჩილმა ხელი აიქნია და თქვა: „თქვენ ჩვენი ერთადერთი იმედი ხართ და თქვენ (უეცრად მას ხმა გაებზარა) იცით, რომ ჩვენ ეს ვიცით. თქვენ იცით, რომ ჩვენ ვიცით, რომ უთქვენოდ ჩვენი იმპერია ვერ გაძლებს. ჩერჩილის მხრიდან ეს იყო აღიარება, რომ მსოფლიო გავლენის მოპოვება მხოლოდ აშშ-ის პირობების საფუძველზე შეიძლება“, — წერს ფრანკლინ რუზველტის შვილი, ელიოტ რუზველტი, რომელიც მამას ახლდა როგორც ადიუტანტი.**

ა.წ. 30 აგვისტოს ინგლისის პარლამენტის ნეგატიურმა გადაწყვეტილებამ მოულოდნელი დარტყმა მიაყენა მოკავშირე აშშ-ს. იქნებ ამან მაინც გამოაფხიზლოს ვაშინგტონი?!

მოკავშირეებშემოცლილი აშშ სიტყვას არ უხვევს და ასადის დასჯისთვის ემზადება. ამ საქმეში მას გვერდში დაუდგებიან თურქეთი, ყატარი, საუდის არაბეთი და შესაძლოა საფრანგეთი. ყველა მათგანს საკუთარი ინტერესები ამოძრავებს და რაც მთავარია, — ახლო აღმოსავლეთში ლიდერობის მოპოვება. თუ რას წარმოადგენენ „ზედემოკრატიული“ ფეოდალური ყატარი და საუდის არაბეთი, ცნობილია, მაგრამ უცნობია ერთი რამ, რა უნდა აკავშირებდეს, ვითომდა დემოკრატიულ ამერიკას ამ მონარქიულ რეჟიმებთან ისეთი, რომ მათი რჩევით გადაწყვიტოს მსოფლიოს ბედ-იღბალი?

რაც შეეხება თურქეთს. აქაც ბევრი რამ გაურკვეველია, უპირველესად ამ დიდი ქვეყნის საგარეო პოლიტიკა. სულ რამდენიმე წელია თურქეთი შეცვლილი (უფრო აქტიური) საგარეო პოლიტიკით მოქმედებს, თუმცა — მისთვის ერთობ წარუმატებლად, რაც არა მარტო საერთაშორისო სარბიელზე ჩანს, არამედ ქვეყნის შიგნითაც. „რბილი ისლამის“ მატარებელი ხელისუფლება არათუ საკუთარი პოზიციების განმტკიცებას ცდილობს, არამედ ოსმალეთის იმპერიის მონაპოვარისთვის ხელის გამოკვრასაც.

თურქეთის აქტიურობის ზონად იქცა „არაბული გაზაფხულის“ ქვეყნები. არაბული რევოლუციებისთვის სამაგალითო გამოდგა თურქული სისტემა. ერდოღანმა მჭიდრო კონტაქტები დაამყარა ეგვიპტის პრეზიდენტ მურსისთან და მის პარტია „ძმებ მუსლიმანებთან“. ერდოღანი ის პოლიტიკოსია, რომელიც კატეგორიული ნეგატიური განწყობით შეხვდა მურსის გადაყენებას. ის, დღესაც ამათრახებს ეგვიპტელ სამხედროთა მოქმედებას და მიიჩნევს, რომ მურსი უნდა დააბრუნონ ხელისუფლებაში.

თურქეთის ამბიციური გეგმები არც ჩვენთვის უნდა იყოს უცხო. ამ ქვეყანასთან ბოლო ათწლიანმა „თანამშრომლობამ“ თავისი ნეგატიური შედეგები გამოიღო, რაც არაერთხელ აღვნიშნე ჩემს სტატიებში, თუმცა შიდა კინკლაობაში გაბმულ ხელისუფლებას ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ისე, როგორც არ მიაქციეს ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცის“ ხელმძღვანელის თენგიზ ჩხიკვაძის სტატიებსა და განცხადებებს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 30 აგვისტოს ნომერში, სათაურით „მიზანმიმართული, სწრაფი და ჩუმი ქარიშხალი მზადდება“ — სტატიაში ავტორი ღიად მიუთითებს იმ ვითარებაზე, რაც ხდება თურქეთ-საქართველოს ურთიერთობაში. „თურქეთის პრემიერ-მინისტრის ერდოღანის განცხადება იმის თაობაზე, რომ აჭარა, კერძოდ ბათუმი, უნდა გახდეს თურქეთის განუყოფელი ნაწილი“ — სერიოზულ დაფიქრებას საჭიროებს საქართველოს ხელისუფალთა მხრიდან. თუმცა ავტორის არაერთი მიმართვის მიუხედავად, გარდა ზერელე პასუხებისა, სხვა არაფერი ჩანს. თურქეთი კი თანამიმდევრულად და მტკიცედ დგამს მისთვის სასარგებლო და ჩვენთვის საზიანო ნაბიჯებს.

**„ამის მტკიცებულება მრავლადაა, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ დღესდღეობით, აჭარისა და არა მარტო მისი, არამედ მთლიანად საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი თურქული კაპიტალის მიერ იმართება. ბათუმში კი ზოგჯერ თურქულის გარდა სხვა ენა არც ისმის“, — წერს ავტორი.**

**ის, რაც აჭარაში და მთლიანად საქართველოში ხდება, მარტო ნაციონალთა ცხრაწლიან თარეშს ვერ დაბრალდება. აქ, სხვასთან, უფრო სერიოზულთან გვაქვს საქმე — საზოგადოების ზერელობასთან, მის შემგუებლურ სულთან, ხელისუფალთა მიმართ მოჭარბებულ ლოიალურობასთან, სხვა ნეგატიურ ფაქტორებთან, რამაც საშუალება მისცა სააკაშვილსა და მის თურქოლოგ დედას თავისუფლად ეფათურებინათ ხელი ქართულ ისტორიასა თუ თანამედროვეობაში.**

**თურქული ექსპანსიისთვის ხელის შეწყობის მიზნით საზოგადოებას რუსული საფრთხე დაუყენეს წინ. მართლმადიდებლური ქვეყანა, საქართველოსთვის ყველაზე დიდ მტრად გადააქციეს, მუსლიმანური თურქეთი კი — პირველ მეგობრად. სააკაშვილმა ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში თავს უფლება მისცა ეთქვა, რომ თურქეთი არასდროს ყოფილა ჩვენი მტერი.**

თურქული სასწავლებლები, უნივერსიტეტები, საწარმოები, მაღაზიები, სასტუმროები, საზკვების ობიექტები არა მარტო აჭარაშია მრავლად, არამედ დანარჩენ საქართველოშიც. საქართველოს საზოგადოება მძიმედ განიცდის რუსული კაპიტალის აქ არსებობას, მაგრამ არაფერს ამბობს თურქულთან მიმართებაში.

**ეკონომიკურ ფეხგადგმას რელიგიურიც მოსდევს თან, განსაკუთრებით აჭარაში. წესად არის ქცეული ახალგაზრდების შერჩევა და თურქეთის სასულიერო სასწავლებლებში მიწვევა. დუხჭირი ცხოვრებიდან გამომდინარე, ხელმოკლე ოჯახები შეგნებულად თვალს ხუჭავენ მსგავს „სელექციაზე“, რაც ერთი მტკაველა საქართველოსთვის მძიმედ შეიძლება დასრულდეს.**

**მედრესედამთავრებული და თურქული რელიგიური ორგანიზაციების კმაყოფაზე მყოფი ქართული ოჯახები რომ ერის სიმტკიცის საპირწონე საქმეა და მეზობელი თურქეთის პოზიციების განმტკიცებას ემსახურება, ეს კარგად უწყის თურქეთის ხელისუფლებამ. ჯაბა იოსელიანის მოსწრებული ნათქვამივით — „რუსული თეთრი ძუძუ გამოვიღეთ პირიდან და შავი თურქული ასო ჩავიდეთო“ — არის ჩვენი საქმე, თუმცა ეს არავის ანაღვლებს.**

მალე ბათუმს ახალი მეჩეთიც დაამშვენებს, რაშიც საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება საკუთარ წვლილს შეიტანს, ვინაიდან ტოლერანტია. სწორედ „ტოლერანტობა“ მოითხოვს მუდამ წელში მოხრას, ზოგ შემთხვევაშიც დაჩოქებას. თურქეთი კი თავის საქმეს აკეთებდა, აკეთებს და გააკეთებს, ვინაიდან დარწმუნებულია საქართველოს საზოგადოების სისუსტეში, არამდგრადობაში.

**თურქული ფენომენი კარგად ჰქონდა გააზრებული ასლან აბაშიძეს, რომელსაც ამ საკითხში მუდამ პულსზე ეჭირა ხელი. ერთხელ ვკითხე - რატომ იყო წინააღმდეგი თურქეთის რკინიგზის (აჭარის გავლით) რუსეთის რკინიგზასთან შეერთების. „საკმარისია შემოიყვანო, აქედან ვეღარ გაიყვანო“, - იყო მისი პასუხი.**

**ასლან აბაშიძის მიერ დაწესებული წესების შედეგად 2004 წლის 6 მაისამდე მოვიდა აჭარა თურქული ექსპანსიის გარეშე. შემდეგ რაც მოხდა, მკითხველისთვისაც კარგად არის ცნობილი.**

თურქეთმა შესანიშნავად გამოიყენა ყარსის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პუნქტები და ისე აამოქმედა ის, თითქოს გუშინ იყოს მიღებული. თუმცა, ყარსის ხელშეკრულების რეანიმაციის წარმატებული მცდელობა იყო საქართველო-თურქეთის ჩარჩო-ხელშეკრულების პრეამბულაში ყარსის ხელშეკრულებაზე სწორების აღნიშვნა. ამ ჩარჩო-ხელშეკრულებას შევარდნაძის სახელმწიფოს მეთაურობის დროს მოეწერა ხელი და ყარსის ხსენებაც თურქული მხარის დაბეჯითებული მოთხოვნით ჩაიწერა დოკუმენტში.

**„მხარეები აცხადებენ, რომ დაიცავენ მათ შორის დადებულ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს, დაწყებული 1921 წლის 13 ოქტომბრის შეთანხმებით. მხარეები ხელმძღვანელობენ იმით, რომ ამ შეთანხმებით საბოლოოდ დადგინდა საზღვარი ორ სახელმწიფოს შორის. მხარეები აღნიშნული შეთანხმების დებულებებს დაიცავენ თავიანთი კანონმდებლობის, არსებული პრაქტიკის და მათი საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით.“ — 1992 წლის 30 ივლისი.**

ახლა, რაც შეეხება თვით ყარსის ხელშეკრულებას -„ერთი მხრივ, სომხეთის სსრ, აზერბაიჯანის სსრ და საქართველოს სსრ და მეორე მხრივ, თურქეთს შორის, დადებული რუსეთის სფსრ მონაწილეობით ყარსში“, ხელმოწერილ იქნა 1921 წლის 13 ოქტომბერს. დოკუმენტის მე-5 მუხლის მიხედვით: „თურქეთი თანხმდება, დაუთმოს საქართველოს სიუზერენიტეტი ქალაქსა და ნავსადგურ ბათუმსა და ტერიტორიაზე, რომელიც ამ ხელშეკრულების IV მუხლით მითითებული, საზღვრის ჩრდილოეთით დევს და შეადგენს ბათუმის ოლქის ნაწილს იმ პირობით, რომ მოსახლეობა ამ ადგილებისა, რომლებიც ამ მუხლშია მითითებული, ისარგებლებს ფართო ადგილობრივი ავტონომიით, ადმინისტრაციული თვალსაზრისით, რაც უზრუნველყოფს თითოეული თემისთვის მის კულტურულ და რელიგიურ უფლებებს...

**თურქეთისთვის უზრუნველყოფილი იქნება ყოველგვარი საქონლის თავისუფალი ტრანზიტი, რომელიც გაიგზავნება თურქეთში და თურქეთიდან, ბათუმის ნავსადგურის გავლით, უბაჟოდ, რაიმე შეფერხების გარეშე და ყოველგვარი გადასახადით, მათ დაუბეგრავად, თურქეთისთვის ბათუმის ნავსადგურის სარგებლობის უზრუნველყოფით ამაზე სპეციალური გამოსაღების გადაუხდელად“.**

ყარსის ხელშეკრულებას ფაქტობრივად არ უმოქმედია საბჭოთა კავშირის არსებობის დროს, მაგრამ, როგორც კი 1991 წლის დეკემბერში დაიშალა საბჭოთა კავშირი, უმალ მოხდა საქართველო-თურქეთის (თურქეთის ინიციატივით) ჩარჩო-ხელშეკრულების გაფორმება — ყარსის ხელშეკრულების მოხსენებით.

1992 წელს უმძიმეს პირობებში ჩავარდნილ საქართველოს ნაკლებად შეეძლო თურქეთთან დადებული ხელშეკრულების სერიოზული გააზრება, არადა აუცილებელი იყო. მაშინდელმა პარლამენტმა, რატიფიკაციის დროს კი ამოიღო ხმა, მაგრამ შევარდნაძის მომხრეებმა იძალეს და რატიფიკაციაც მოხდა.

**აღნიშნული მაგალითი კიდევ ერთხელ ნათელყოფს ნებისმიერ საერთაშორისო ხელშეკრულებასთან ზედმიწევნით ყურადღებით მოკიდებას, ასჯერ და ათასჯერ აწონას, თუმცა ამისთვის მარტო სურვილი არ კმარა, გამოცდილოება და პროფესიონალიზმიცაა საჭირო.**

**სამწუხაროდ მსგავსი თვისებები ჯერაც არ შეგვიძენია. სწორედ ამის შედეგია თურქული ექსპანსიის წაყრუება, სირიის უსერიოზულესი საკითხის უგულებელყოფა და ა.შ. და რაც მთავარია, საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვა, რომ იტყვიან საკუთარ წვენში ხარშვა — სხვას ვერაფერს იტყვი, როდესაც შენს ყურის ძირში ომი შეიძლება გაჩაღდეს, შენ კი რაღაც პროვინციულ საშინაო ამბებზე ამახვილებ ყურადღებას.**

სალომე ზურაბიშვილი ჩამოვიდაო, მთელი მედია გუგუნებს, თითქოს ღვთისმშობელი მოვლენოდეს ბედკრულ საქართველოს. ევროკავშირის წარმომადგენელსა და აშშ-ის ელჩს შეხვდაო, გვაუწყებს მედია. და არავინ კითხულობს, რა უნდოდა პრეზიდენტობის მაძიებელ ზურაბიშვილს დიმიტროვთან და ნორლანდთან? ის ხომ არა, რომ მათი ზეწოლით შეიცვალოს კონსტიტუცია სალომეს სასარგებლოდ, რათა მან, როგორც ორმაგმა მოქალაქემ, არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა?

**საპრეზიდენტო კანდიდატობის მსურველი, დასავლური ძალის გამოყენებით, აპირებს საქართველოსთვის საკუთარი პერსონის თავსმოხვევას. დაფიქრდით, ასეთი წაადგება ქვეყანას?!**

**საქართველოს საზოგადოებას გონივრული განსჯა ესაჭიროება გარე და შიდა პრობლემების გადასაწყვეტად. ამ პროცესში ქარაფშუტობა, ზერელეობა, პირადი ინტერესები მიუღებელი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა ვერ ამოვა იმ ღრმა ორმოდან, რომელშიც წინა ხელისუფლებებმა მოაქციეს საქართველო.**



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

# ჰელენა ბედველის, კახა ბენდუქიძის და დავით რონდელის ბოდვები...

## ნაციონალური საცეცები „ბლუმბერგში“?!



**ბიძინა ივანიშვილის პრესსამსახურის თანამშრომელი ანა გოჩაშვილი FACEBOOK-ის საკუთარ გვერდზე „ბლუმბერგის“ ჟურნალისტების – ჰენრი მაიერისა და ჰელენა ბედველის მიერ ბიძინა ივანიშვილთან ჩაწერილ ინტერვიუს გამოეხმაურა, რომელსაც FOR.GE უცვლელად გვთავაზობს.**

„კოლეგების კრიტიკა არ მჩვევია, თუმცა არის მომენტი როდესაც სჯობს კოლეგიალობას ანგარიში არ გაუწიო და სიმართლე თქვა. მესმის, რომ ჩემმა გულახდილობამ შესაძლებელია სამსახურში უხერხულობა შექმნას, რადგან სააგენტო „ბლუმბერგში“ გამოქვეყნებულ, ჩემი აზრით, აშკარად ტენდენციურ სტატიაზე, პრემიერ-მინისტრის პრესსამსახური პასუხის გაცემას, როგორც ჩანს, არ აპირებს. ამიტომ, თავს ვალდებულად ვთვლი, რომ ჩემი პოზიცია გამოვხატო.

ჩემი განმარტებები სტატიაზე „საქართველოს ხელგაშლილი პრემიერ- მინისტრი ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წასვლას გეგმავს“ (იხ. ბმული http://www.businessweek.com/articles/2013- 08- 29/georgias- billionaire- prime- minister- spreads- riches- plans- political-exit)

დავიწყებ იმით, რომ თავად ვესწრებოდი ინტერვიუს, რომელიც პრემიერ-მინისტრთან „ბლუმბერგის“ ჟურნალისტებმა ჰენრი მაიერმა და ჰელენა ბედველმა, იგივე თათია ნიკოლეიშვილმა ჩაწერეს.

თვალშისაცემი ტენდენციურობის გარდა სტატიაში ფაქტობრივი შეცდომებია დაშვებული, რასაც ქვემოთ ჩამოვთვლი, მაგრამ, პირველ რიგში, რამაც გადამაწყვეტინა ჩემი პოზიცია ღიად გამოვთქვა, არის ის ექსკლუზიური ინფორმაცია, რომელიც „ბლუმბერგის“ ჟურნალისტებმა ჩემი თანდასწრებით ბიძინა ივანიშვილისგან მიიღეს და რომელზე საუბარსაც ივანიშვილი, მიუხედავად ჟურნალისტების მრავალმხრივი მცდელობისა, ყოველთვის თავს არიდებდა. ჩემთვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო ის, რომ პრემიერმა ამ თემაზე პირველად ასე ვრცლად ისაუბრა.

რა თქმა უნდა, ნებისმიერი ჟურნალისტი აბსოლუტურად თავისუფალია თავის შეფასებებში, თუმცა, როდესაც ჟურნალისტს დასმულ კითხვაზე რესპონდენტისგან კონკრეტული პასუხი აქვს მიღებული და ის ამ პასუხს, მით უმეტეს ექსკლუზიურად მისთვის ნათქვამს, არ აქვეყნებს და ისევ ამ კითხვას ტოვებს სტატიის ძირითად ინტრიგად, – სერიოზულ ეჭვებს ბადებს.

სააგენტოს კითხვა ასე ჟღერს: „რას უზამს ივანიშვილი თავის მილიარდებს?“

„ბლუმბერგის“ დასკვნით, ეს დღეს ყველაზე აქტუალური თემაა, თუმცა, გასაოცარი ის არის, რომ სწორედ ამ „აქტუალურ თემაზე“ მიღებულ პირდაპირ პასუხს არ აქვეყნებს.

საინტერესოა, ბევრია მსოფლიოში ადამიანი, ვინც ოც წელზე მეტია თავისი ხარჯების უდიდეს ნაწილს ქველმოქმედებას ახმარს? კიდევ ვინ ჰყავს ჰელენა ბედველს ჩაწერილი მილიარდერი, ვინც ეტყოდა, რომ მისი ხარჯების 90%- ზე მეტი მიდის ქველმოქმედებაში, ხშირ შემთხვევაში კი ეს ციფრი 97-99% -ს აღწევს? რომ ქველმოქმედებაზე დახარჯული თანხა 3 მილიარდ დოლარს აჭარბებს და რომ დარჩენილი კაპიტალის ასევე მინიმუმ 90%–ს ისევ ქველმოქმედებას მოახმარს?

როდესაც უშუალოდ პირველი პირისგან იგებ ამ ინფორმაციას, როდესაც შენს მთავარ კითხვაზე – სად წავა ბიძინა ივანიშვილის მილიარდები? რესპონდენტი გპასუხობს, რომ ის ზუსტად ასევე გააგრძელებს ქველმოქმედებას მომავალში (ანუ მისი კაპიტალის უდიდეს ნაწილს, 90%- ზე მეტს, უანგაროდ თავის ქვეყანას მოახმარს) და ამას არ აქვეყნებ, ბუნებრივად მიჩნდება ეჭვები სტატიის ავტორების ტენდენციურობაზე.

თავად შეაფასეთ მთლიანად სტატიის პათოსი და ყველაფერი გასაგები ხდება:

ჟურნალისტი აშკარად ცდილობს ივანიშვილის სიმდიდრე სწორედ რომ ყველაზე დიდ პრობლემად, დანაშაულად დაგვანახოს; რომ მან თავისი ფულით უკვე დააზიანა და დაანგრია ქვეყანა. მომავალშიც მისი კაპიტალი კიდევ უამრავ საფრთხეს უქადის ქვეყანას; პოლიტიკაშიც იმიტომ მოვიდა, რომ როგორმე დაიცვას და შეინარჩუნოს საკუთარი ქონება (რაც ირიბად იმასაც მიანიშნებს, რომ ეს ქონება არცთუ ისე წესიერი გზითაა ნაშოვნი, როდესაც მის დასაცავად პოლიტიკაში მოსვლა გიწევს).

ამ უარგუმენტო, აშკარად ტენდენციური პათოსის გამყარებას სტატიის ავტორები პერიოდულად სიცრუითაც ცდილობენ, მოწმეებად კი სააკაშვილის გუნდის წევრი კახა ბენდუქიძე და 9 წლის განმავლობაში სააკაშვილის იდეოლოგიის მხარდამჭერი ალექსანდრე რონდელი მოჰყავთ.

ახლა უფრო ვრცლად:

იმას, რომ ივანიშვილს აქვს დიდი კაპიტალი, წარმოჩენილია როგორც ბოროტების საწყისი და დემოკრატიის ეჭვქვეშ დაყენება. აბა სხვა რას უნდა ნიშნავდეს აქცენტი იმაზე, რომ ივანიშვილის კაპიტალი მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის 35-40-ს % შეადგენს?! ხაზგასმა იმაზე, რომ აყვავილებული სანაპირო ვილა 94 ჰექტარზეა გადაჭიმული (საინტერესოა, რაზე დაყრდნობით სახელდება ეს ციფრი)?! სადაც არიან ზებრები, ფლამინგოები, ლემურები, ფარშევანგები, თუთიყუშები. ფლობდე ძვირადღირებულ არტ-კოლექციას, რომელიც ლონდონში ინახება... 50 მილიონად შეფასებულ საცხოვრებელ სახლს (ბევრჯერ აქვს ნათქვამი, რომ ეს ბიზნეს-ცენტრია, ეს კარგად იცის თავად ჰელენ ბედველმაც, რომელიც შეგნებულად ცრუობს. პრემიერის საცხოვრებელი სახლი კი ბევრად დაბალი ღირებულებისაა), კერძო „პლიაჟი“ (როგორ შეიძლება სანაპირო იყოს კერძო, როდესაც იქ ნებისმიერ გამვლელს შეუძლია მოხვედრა).

სტატიაში ვკითხულობთ: „სააკაშვილისთვის ივანიშვილის მილიარდებმა საქართველოს, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს სტატუსი, რისკის ქვეშ დააყენა.“ და არაფერი წერია იმაზე, თუ რა საფუძველი გააჩნია ამგვარ დაუსაბუთებელ ბრალდებებს, იქნებ პირიქით დაეხმარა ქვეყანა უფრო დემოკრატიული გამხდარიყო?!

„გარკვეულწილად, დასავლელმა ინვესტორებმა მიატოვეს კიდეც საქართველო მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში მოსულმა ივანიშვილის მთავრობამ გასული წლის ბოლოს ათობით ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავება დაიწყო...“, – ტყუილია, თითქოს ინვესტორები საქართველოდან გარბიან, დამისახელეთ ერთი გაქცეული ინვესტორი მაინც!

სტატიაში ალექსანდრე რონდელი ამბობს, ივანიშვილი პოლიტიკიდან კი წავა, მაგრამ გავლენას მოახდენს სუსტ მთავრობაზეო. აქაც არ ჩანს ჟურნალისტის ინტერესი, გაარკვიოს რა გავლენის მოხდენაზეა საუბარი. სამაგიეროდ, კარგად ჩანს ყველაფრის უარყოფითად დახატვის მცდელობა და მთავარ პრობლემად ისევ და ისევ ივანიშვილის კაპიტალს გულისხმობს. ეს მოსაზრება კახა ბენდუქიძის სიტყვებით არის გამყარებული: „ივანიშვილი პოლიტიკაში ნათლიმამად დარჩება...“ ანუ რა გამოდის, ბიძინა ივანიშვილმა აქამდე ხომ დააქცია ქვეყანა თავისი ქონებით და მომავალშიც გააგრძელებს ამ პროცესს?!

კახა ბენდუქიძის ციტატა – „მას უნდა იმ საქართველოში ცხოვრება, რომელიც უსაფრთხო იქნება მისთვის, მისი ოჯახისთვისაც და მისი ქონებისთვისაც“. საინტერესოა, რა სჭირს ივანიშვილს დასაცავი?! ან რა, არ შეუძლია ისევ დაბრუნდეს საფრანგეთში და იქ იცხოვროს მშვიდად და უსაფრთხოდ? მას ხომ საქართველოში საკუთარი საცხოვრებლების გარდა არავითარი ბიზნესი არ გააჩნია და როგორც ძველ ინტერვიუებში არაერთხელ უთქვამს (მათ შორის ჰელენა ბედველისთვისაც) მისი კაპიტალი ევროპულ და ამერიკულ ფასიან ქაღალდებშია განთავსებული.

ბუნებრივად მიჩნდება ეჭვები სტატიის ტენდენციურობაზე მაშინაც, როდესაც ვკითხულობ, რომ სააკაშვილი თურმე „ოპოზიციისა და მედიის წინააღმდეგ ბრძოლისთვის დაადანაშაულეს.“ ასეთი ზოგადი კრიტიკა შეიძლება ნებისმიერი ევროპელი პოლიტიკოსის დასახასიათებლად გამოიყენოს ოპონენტმა, სტატიაში კი არაფერია ნათქვამი იმ უამრავ დანაშაულებრივ ფაქტზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს და რომელიც დღეს უკვე მთელი მსოფლიოსთვის არის ცხადი.

რა, – არ არსებობს გამოუძიებელი გახმაურებული მკვლელობები? რა, - ბიზნესი არ იყო მართული მხოლოდ ერთი ადამიანის – სააკაშვილის მიერ და მისი ბუღალტერი არ იყო მაშინდელი მთავრი პროკურორი ზურა ადეიშვილი, რომელიც ქვეყნიდან არჩევნების მეორე დღესვე გაიქცა?! ხომ ვიცით, რომ „სუფთა“ ადამიანები ასე არ იქცევიან! არ არსებობდა ელიტური კორუფცია? რა, – არ გაგვაწვინა მისმა სპეცრაზმმა შუბლზე ლულა მიდებული ჟურნალისტები იატაკზე ? არ გახსოვს „იმედის“ ამბები?! მე მახსოვს, თან კარგად, იმიტომ, რომ მაშინ იქ ვმუშაობდი და ჩემს თავზე გადავიტანე ის, რასაც სტატიაში „მედიაზე ზეწოლას“ ეძახით, რეალურად კი დამოუკიდებელ ტელევიზიაში სპეცრაზმის შემოვარდნა იყო! ისიც მახსოვს, რომ პატარკაციშვილების ოჯახისთვის წართმეული ტელევიზიის, მეპატრონისთვის დაბრუნება, მხოლოდ რამდენიმე თვის წინ (არჩევნების შემდეგ, ბიძინა ივანიშვილის მთავრობაში მოსვლის შემდეგ) გახდა შესაძლებელი! არ დაარბია მიტინგები და სახურავებზე არ აყარა გვამები? არ არსებობს ქვეყანაში პირადი ცხოვრების ამსახველი რამდენიმე ათეული ათასი ფარული ჩანაწერი – რაც ფაქტობრივად სახელმწიფო ტერორს ნიშნავს? არ არის წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები? სამწუხაროდ კიდევ ბევრის ჩამოთვლა შეიძლება.... მაგალითად ის, რაც უკვე ბევრჯერ ითქვა და პროკურატურაში ძიებაც მიმდინარეობს – მხოლოდ ბოლო სამი წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან 100 მილიონ დოლარზე მეტია დახარჯული ლობისტებისთვის და რაოდენ ჩემთვის სამწუხარო არ უნდა იყოს, ჟურნალისტების მოსყიდვისთვის!

შესაძლებელია ეს არ იცის ჰენრი მეიერმა, მაგრამ შეუძლებელია ეს არ იცოდეს ჰელენმა.

რეალობა კი ასეთია: არც ვილა, არც სახლი, არც ბიზნეს-ცენტრი, არც ლემურები და აუზი – ბიძინა ივანიშვილისთვის არავის უჩუქებია, მან ეს ყველაფერი საკუთარი პატიოსანი, დიახ პატიოსანი შრომით მოიპოვა (განსხვავებით კახა ბენდუქიძისაგან, რომელმაც ათეულ მილიონებად შეფასებული სახელმწიფო ქონება სააკაშვილისგან საჩუქრად, სიმბოლურ ფასად – 1 ლარად მიიღო, დიახ სააკაშვილის ხელმოწერით!) , სამაგიეროდ, 20 წელია ბიძინა ივანიშვილი ჩუქნის საკუთარ ქვეყანას და თავის ხალხს საკუთარი შრომით მოპოვებული მილიარდების მინიმუმ 90%-ს, რაც დღეისათვის 3 მილიარდ დოლარს აჭარბებს. მთავარი, რაც იმ დღეს ყველაზე დიდი მოულოდნელობა იყო ჩემთვის (თქვენ კი რატომღაც დამალეთ), ბიძინა ივანიშვილმა პირველად განაცხადა, რომ დარჩენილი კაპიტალის მინიმუმ 90%-ს ისევ ქვეყანას მოახმარს, ისევ უანგაროდ. ამის გაცხადების ნაცვლად სტატიის ავტორი ალექსანდრე რონდელს იშველიებს და სახიფათოდ მიგვანიშნებს იმაზე, რომ მან პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ შეიძლება ისევ გავლენა მოახდინოს სუსტ მთავრობაზე. თითქოს, სანამ პოლიტიკაშია, ივანიშვილი ღუპავს ქვეყანას და რომ წავა – უარეს ნგრევას გააგრძელებს...

რეალურად კი, რომ არა ბიძინა ივანიშვილი, ჩვენ ვიცხოვრებდით ქვეყანაში, რომელშიც ყველას უსმენენ, აშანტაჟებენ, ვიქნებოდით მუდმივ შიშში და გავაგრძელებდით ასე დათრგუნულ ცხოვრებას, ალბათ, კიდევ, რამდენიმე ათეული წელი - რადგან სააკაშვილმა ქვეყნის კონსტიტუციაც კი საკუთარ თავზე მოირგო. ივანიშვილს შეეძლო უზრუნველად, მშვიდად ეცხოვრა მთელი დარჩენილი მისი ცხოვრება. პოლიტიკიდან წასვლა კი ბიძინა ივანიშვილის ისეთივე შორს გამიზნული და კარგად გათვლილი ნაბიჯია, როგორც მისი მოულოდნელი შემოსვლა პოლიტიკაში. ეს არის საქართველოს უახლეს ისტორიაში უპრეცედენტო ნაბიჯი და მაგალითი იმისა, როგორ არ უნდა გახდე თანამდებობისა და ძალაუფლების მონა.

სწორედ ქართველი ხალხის სიყვარულმა და პასუხისმგებლობის გრძნობამ, რომელსაც ქვეყნის წინაშე უნდა გრძნობდეს თითოეული მოქალაქე, მიაღებინა ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკაში მოსვლის გადაწყვეტილება და არა როგორც ეს გამოცემის ჟურნალისტებს სურთ წარმოაჩინონ, თითქოსდა, საკუთარი ფულის დასაცავად - იმ ფულის, რომლის 90% მეტის დახარჯვას ისევ საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებზე გეგმავს.

სამწუხაროა, რომ ამის შესახებ ჩემი, ერთი მოქალაქის ანა გოჩაშვილის ფეისბუკის პირადი გვერდით უნდა გახდეს ცნობილი, მაშინ როდესაც ამ ფაქტის გაჟღერების ექსკლუზიური უფლება ბიძინა ივანიშვილმა „ბლუმბერგს“ მიანიჭა. დასანანია, რომ ასეთმა გავლენიანმა და პრესტიჟულმა გამოცემამ ეს უფლება ვერ ან არ გამოიყენა“.

**რედაქციისგან: ამ კონკრეტული ფაქტის გარშემო გუშინდელ პრესკონფერენციაზეც ნაცმენების ბაცილით დაავადებულმა ჰელენა ბედველმა (იგივე თათია ნიკოლეიშვილმა) იხტიბარი არ გაიტეხა და პრემიერ-მინისტრს ისევ გალმიდან შემოდავება დაუპირა... უსინდისობა და თავხედობა ამაზე შორს ვერ წავა. როგორ უნდა გძულდეს საკუთარი ქვეყანა და ხალხი, უცხოელ ჟურნალისტთან ერთად, თანაც პირწავარდნილი მიშისტების (ბენდუქიძისა და რონდელის) ანტისახელმწიფოებრივ, ანტიეროვნულ შეფასებებზე დაყრდნობით ასპროცენტიანი სინათლე, სიკეთე და საიმედო პერსპექტივა სიბნელედ და ქვეყნის უბედურებად წარმოაჩინო!.. მაინც, სად ნახა ერთი პიროვნების დიდი ფულით და ქველმოქმედებით დანგრეული ქვეყანა ქალბატონმა ჰელენამ? რანაირად შეიძლება ივანიშვილის მილიარდებმა საქართველოს დემოკრატიული ქვეყნის სტატუსი რისკის ქვეშ დააყენოს?**

**ყველაფერი ხომ პირიქითაა?!**

**უძველესი ბიბლიური სიბრძნე გვასწავლის: „შეუნდოს უფალმა, რამეთუ არღარა იციან და როშვენ“... თუმცაღა, ეჭვი გვეპარება ამგვარი ტყუილი და უზნეობა უფალმა და ქართველმა ხალხმა ვინმეს აპატიოს!**

**სპარტაკ ქოზულია**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს პრემიერი თავის პოსტს დატოვებს

## ბიძინა ივანიშვილმა ამის შესახებ აუხსნა თანამოქალაქეებს



**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება, 27 ოქტომბრის პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ დატოვოს თავისი პოსტი. ამის შესახებ საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელმა განაცხადა „ღია წერილში საქართველოს საზოგადოებისადმი“.**

**„მესიანობისა და მესიების ეპოქა ჩვენს ქვეყანაში უნდა დამთავრდეს, საზოგადოებამ კი უნდა ისწავლოს პოლიტიკური ლიდერების კონტროლი“,** — განმარტა თავისი გადაწყვეტილება მიმავალმა პრემიერმა. ამავე დროს მან აღნიშნა, რომ წასვლის შემდეგ დარჩება საქართველოში, რათა მოახდინოს გავლენა პროცესებზე „სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად“ და იმუშაოს „პოლიტიკური კულტურის ამაღლებაზე“, რომლის ფარგლებშიც „ამომრჩევლები ხმას მისცემენ პროგრამებს და არა მორიგ მესიას“.

შეგახსენებთ, რომ ბიძინა ივანიშვილი პირველად არ აცხადებს მისწრაფების შესახებ დატოვოს პოსტი „პრეზიდენტის არჩევნების წარმატებით დამთავრებისთანავე“, ესე იგი, სახელმწიფოს უმაღლეს პოსტზე თავისი პიროვნების გიორგი მარგველაშვილის არჩევის შემდეგ. პრემიერის თანამებრძოლებმა, მათ შორის „მილანის“ ყოფილმა ფეხბურთელმა კახი კალაძემ მადლობა გადაუხადა მას „თავგანწირული ნაბიჯისთვის საზოგადოების კულტურის ამაღლების მიზნით“. ამავე დროს საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერმა დავით ბაქრაძემ გაგვაფრთხილა, რომ, თუ პრემიერის მემკვიდრე გახდება ამჟამინდელი ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, არსებობს „აუცილებელ გადაწყვეტილებათა მიღების დეფიციტის გაჩენისა“ და განხეთქილების საფრთხე მმართველ კოალიციაში.

როგორც ჩვენთან საუბარში პოლიტოლოგმა ზურაბ ღლონტიძემ აღნიშნა, ბიძინა ივანიშვილი მიდის ჩრდილში, ვინაიდან არ სურს, უარი თქვას საფრანგეთის მოქალაქეობაზე, მაშინ, როდესაც ახალი კონსტიტუცია, რომელიც ძალაში შედის 2014 წლის 1 იანვრიდან, მოითხოვს, რომ მთავრობის მეთაურს უნდა ჰქონდეს მხოლოდ საქართველოს მოქალაქეობა.

### საქართველოს პრემიერმა მონახა შემცვლელი

**საქართველოს პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა დაადასტურა თავისი განზრახვა გადადგომის შესახებ. ერთ-ერთ ინტერვიუში იგი დაგვპირდა, გააკეთოს ეს „ჯერ კიდევ ახალ წლამდე“, მაგრამ „არ დატოვოს საქართველო, გადავიდეს არასამთავრობო სექტორში“. „ჩემი პროექტი არის ის, რომ გავასუფთავოთ საქართველო ელიტარული კორუფციისგან, შევქმნათ კარგი სკოლები, საავადმყოფოები და გზები, მოვიზიდოთ უცხოელი ინვესტორები და ტურისტები“, — განმარტა ბატონმა ივანიშვილმა, რითაც გვაგრძნობინა, რომ აპირებს გააგრძელოს ბიზნესი. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა პრემიერს უკრძალავს, აწარმოებდეს კომერციას.**

თბილისში მიაჩნიათ, რომ პრემიერისთვის ყველაზე „ხელსაყრელი“ შეიძლება აღმოჩნდეს ეკონომიკური განვითარების მინისტრი, ივანიშვილის დიდი ხნის თანამებრძოლი ჯერ კიდევ ფონდ „ქართუდან“ და ამავე სახელწოდების ბანკიდან გიორგი კვირიკაშვილი. თავად მინისტრი არ უარყოფს, რომ მისი კანდიდატურა განიხილება: „შეიძლება ერთ-ერთი კანდიდატი ვიყო მეც“, — გვაცნობა მან და იქვე დაუმატა, რომ არ სურდა „ივანიშვილის უდროო წასვლა პოსტიდან“.

Коммерсантъ

# საქართველოში დავობენ, გაასუფთაონ თუ არა სალებავებისგან სტალინის ძეგლი

**ქალაქ თელავში უცნობმა პირებმა სალებავი შეასხეს და სალანძღავი სიტყვები წააწერეს სტალინის ძეგლს, რომელიც ახლახან გაიხსნა.**

პატარა ქალაქი თელავი — მევენახეობის რეგიონის — კახეთის დედაქალაქი და სახელგანთქმული მიმინოს სამშობლოა, ამავე სახელწოდების ცნობილი კინოფილმიდან. პროვინციული ქალაქის ნორმალური ცხოვრება დაირღვა ორი დღის წინათ, როდესაც ქალაქის პარკში გაჩნდა იოსებ სტალინის ქანდაკება, მორთული გვირგვინებითა და სამახსოვრო ლენტებით.

იმავე ღამით ქანდაკებას შეასხეს სალებავი. მონუმენტის გარშემო გაჩნდა წარწერები ქართულ ენაზე: „მკვლელი“, „ძირს სტალინიზმი“ და სალანძღავი სიტყვები.

გადაღებილი ძეგლი დგას მეორე მსოფლიო ომში დაღუპულებისადმი მიძღვნილი მონუმენტის შიგნით. მონუმენტის ნაწილი, რომელიც მიძღვნილია დაღუპული ჯარისკაცებისადმი, ვანდალებმა ხელი არ ახლეს არაფერს, გარდა სტალინის ფიგურისა.

„ხალხთა ბელადის“ ხსოვნის უკვდავყოფის ინიციატორი გახდა არასამთავრობო ორგანიზაცია „სტალინი“, რომელიც აერთიანებს თელავში ბელადის ადგილობრივ პატივისმცემლებს. მათი წარმომადგენლობა ქალაქის ცენტრშია, საჭადრაკო კლუბის შენობაში. ეს არის პატარა შენობა კედლებზე ბელადის ფოტოგრაფიებით.

ამ ორგანიზაციის ადგილობრივი განყოფილების ხელმძღვანელმა და თავმჯდომარემ შოთა ლაზარიაშვილმა ჩვენს კორესპონდენტს უჩვენა სპეციალური ნებართვა მემორიალის დადგმაზე, რომელსაც ხელს აწერს თელავის მუნიციპალიტეტის ხელმლძღვანელი. მას თან ახლავს ასზე მეტი ხელმოწერა ადგილობრივი მცხოვრებლებისა, რომლებიც მიესალმნენ ძეგლის გახსნას.

ორგანიზაციაში „სტალინი“ დარწმუნებული არიან, რომ მოქმედებენ ქართველი ხალხის ინტერესებით, რომელსაც სურს, რომ მათი დიდი თანამემამულის ძეგლი უკვდავყოფილიყოს. შოთა ლაზარიაშვილი გვიამბობს, რომ სტალინის ძეგლი თელავში დემონტირებული იქნა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რის შემდეგაც ბეტონის ქანდაკება გადაჰქონდათ ერთი ადგილიდან მეორეზე, მანამ, სანამ, იგი არ აღმოჩნდა ქალაქის სანაგვეზე.

ორგანიზაციის აქტივისტების და თანამგრძნობების ხარჯით შეძლეს ქანდაკების რესტავრირება.

კახეთში ეს უკვე სტალინის მეხუთე აღდგენილი ძეგლია, ყველა ისინი აღმართეს ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, რაც მოხდა პარლამენტის არჩევნებზე მიხეილ სააკაშვილის პროდასავლური პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხების შემდეგ.

**ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც სტალინის ძეგლებს ესხმიან თავს. ლაზარიაშვილის სიტყვებით, ისინი ელოდებოდნენ ამგვარ რეაქციას თელავში ამჯერადაც და, რამდენადაც ეს უცნაური არ უნდა იყოს, უხარიათ კიდეც ეს. „ამ სალებავის წყალობით სტალინის ძეგლისკენ მიპყრობილია საზოგადოების ყურადღება. ჩვენთვის ეს ზედმეტი რეკლამაა — კიდევ ერთი ზედმეტი ნაბიჯი ხალხში სტალინის სახის პოპულარიზაციისთვის“,** — ამბობს იგი.

ადგილობრივი ხელისუფლება არ ჩქარობს სალებავის ჩამოცილებას: თელავში კიდევ ერთხელ გადაწყვიტეს, რამდენად სამართლიანი იყო ამ მონუმენტის დადგმა. საკრებულოს ხელმძღვანელის მოადგილემ ზურაბ ბუცხრიკიძემ დაადასტურა, რომ საინიციატივო ჯგუფს მართლაც აქვს ნებართვა მონუმენტის დადგმაზე, რომელიც გასცა მუნიციპალიტეტის ყოფილმა ხელმძღვანელმა. მაგრამ, მისი სიტყვებით, ეს ნებართვა გაიცა პროცედურული ნორმების დარღვევით და იგი არ დაუმტკიცებია თელავის საბჭოს. ამიტომ ამჟამად დღის წესრიგში დგას ამ ძეგლის დემონტაჟის საკითხი.

**„ასეთი გადაწყვეტილებები არ შეიძლება მიღებული იქნეს ერთპიროვნულად, სტალინი — არაერთმნიშვნელოვანი ფიგურაა, ამიტომ ჩვენ მოვაწყობთ საზოგადოებრივ დებატებს ამ საკითხთან დაკავშირებით, ავწონით ყოველივე „დიახს“ და „არას“, შემდეგ კი გადავწყვეტთ, თუ რა უნდა გავაკეთოთ“,** — განაცხადა ბუცხრიკიძემ.

ჩვენმა სამსახურმა შეძლო, მოეძებნა განხორციელებული აქციის ერთ-ერთი მონაწილე და გასაუბრებოდა მას.

ახალგაზრდა მამაკაცი წარმოგვიდგა, როგორც სანდრო, რომელმაც არ მოინდომა თავისი ნამდვილი სახელისა და გვარის გამხელა. მისი სიტყვებით, იგი არ მიეკუთვნება არც ერთ პოლიტიკურ ჯგუფს. „მე ჩვეულებრივი მოქალაქე ვარ — ჩემთვის დაუშვებელია, რომ ქვეყანაში უდგამდნენ ძეგლებს მილიონობით ადამიანის მკვლელს. სამწუხაროდ, ვამჩნევ, რომ ეს იქცა ტენდენციად, და ადამიანებს უბრალოდ არ ესმით, თუ ვინ იყო სტალინი სინამდვილეში“.

სანდრომ გვიამბო, რომ ეს მისი პირველი ამგვარი აქციაა, მაგრამ თუ ძეგლებს „წითელ ბელადებს“ კვლავ დაუდგამენ, ამას მოჰყვება სხვებიც.

**„მესმის, რომ ეს მოქმედებები შეიძლება შეაფასონ, როგორც ადმინისტრაციული დარღვევა — ვანდალიზმი ან მცირე ხულიგნობა. ჩვენ მზად ვართ, თუ საჭირო იქნება, ვაგოთ პასუხი. ეს ღირს“,** —აღნიშნა მან.

ქართველმა ანალიტიკოსმა გოგი ხუციშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მართვის დროს საქართველოში მოქმედებდა კანონი, რომელიც კრძალავდა ნაცისტური და კომუნისტური სიმბოლიკების გამოყენებას. ქალაქების ქუჩებიდან გაქრა საბჭოთა დროიდან შემორჩენილი ვარსკვლავები, ნამგლები და უროები.

**„ბევრისთვის სტალინი, უწინარეს ყოვლისა, — მათი თანამემამულეა, ქართველი, რომელიც მართავდა უდიდეს იმპერიას და მთელ მსოფლიოს აზანზარებდა. ბევრისთვის ეს სიამაყის საგანია. რეპრესიები, ტირანია და მასობრივი მკვლელობები მეორე პლანზე გადადის“,** — შენიშნავს ხუციშვილი.

ხუციშვილის სიტყვების თავისებური დადასტურება აღმოვაჩინეთ იმავე თელავში. სტალინის ძეგლის მახლობლად რამდენიმე ახალგაზრდა დასეირნობდა, შეკითხვაზე, თუ როგორ უყურებენ ისინი ბელადის „შეღებვას“, ერთ-ერთმა მათგანმა საბა ჭილოლაშვილმა აღნიშნა: „ჩემთვის პრინციპულად, სულ ერთია, მაგრამ ამის შესახებ არასოდეს ვუამბობ ბაბუაჩემს სოფელში. იგი დღემდე ყოველ სუფრაზე სვამს სტალინის სადღეგრძელოს. თუ ის გაიგებს, როგორ მოექცნენ მის ძეგლს, ინფარქტი დაემართება“.

ИЗВЕСТИЯ

## დედამიწის ზურგზე




**ამერიკელებს ყველა ცნობილ ადამიანთა შორის ყველაზე მეტად სურთ პრინცესა დიანას აღდგომა**

იმას, რომ დაუბრუნონ სიცოცხლე ლედი დის, თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა, გამოკითხულთა 34 პროცენტმა მისცა ხმა. მეორე პოზიცია დაიკავა „ეპლის“ თანადამფუძნებელმა სტივ ჯობსმა. მესამე ადგილი გაიყვეს მომღერლებმა მაიკლ ჯექსონმა და უიტნი ჰიუსტონმა.

* * *

**განძეულებზე მონადირეები: ამერიკულმა ოჯახმა ოკეანის ფსკერზე აღმოაჩინა 300 ათასი დოლარის ღირებულების განძი**



გასაოცარი აღმოჩენა გაკეთდა სანაპიროდან სულ რაღაც 137 მეტრში ქალაქ ფორტ-პირსის მახლობლად. განძეულობა — ოქროს ჯაჭვები და მონეტები აღმოჩნდა ესპანური გალეონების ნანგრევებში, რომლებიც ჩაიძირნენ 1715 წელს ქარიშხლის დროს.

* * *

**ვენესუელის ნახევარი დარჩა უშუქოდ დიდი ავარიის გამო, რომელსაც პრეზიდენტმა „გადატრიალების რეპეტიცია“ უწოდა**



სიბნელემ მოიცვა ქვეყნის 23 შტატიდან 12, ძირითადად ცენტრალურ და დასავლეთის რაიონები. დედაქალაქში შუქნიშნების მუშაობის შეწყვეტის გამო გზებზე შეიქმნა დიდი საცობები. ნაწილობრივ შეწყდა მოძრაობა მეტროშიც. ავარიის ადგილი აღმოაჩინეს, მაგრამ ეროვნული ენერგოსისტემის მუშაობის აღდგენა მოხერხდება მხოლოდ ეტაპობრივად.

* * *

**კერიმ მოუწოდა კონგრესმენებს, ზიანი არ მიაყენონ კავშირს მოსკოვთან სირიის ბედის გადაწყვეტის დროს**

„ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს არ ჩავერთოთ არასაჭირო ბრძოლაში რუსეთელებთან“, —აღნიშნა სახელმწიფო მდივანმა, როდესაც კანონმდებლობის წინაშე გამოდიოდა. მან აგრეთვე გვაგრძნობინა, რომ ობამამ შეიძლება წარადგინოს პეტერბურგში ასადის არმიის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების დადასტურებანი.



## კართან მოდგა შემოდგომა...

# ახალი „ნოუჰაუდან“ დეზებიან პრეზერვატივებამდე!

**კართან მოდგა შემოდგომა... მალე სოფლად ღვინით სავსე ქვევრები დაიწყებენ დუღილს!... და აი, რას გადავაწყდი უცებ ინტერნეტში:**

**„დედაჩემთან მისი ასაკის, ანუ სამოცდაათს მიტანებული მეზობელი ქალი შევიდა და ეუბნება, ერთი უცნაური თხოვნა მაქვს და, ძალიან გთხოვ, უარი არ მითხრაო. მოკლედ, პრეზერვატივები მინდა ორი ყუთი, მე მეუხერხულება აფთიაქში მისვლა და იქნებ შენ მიყიდოო... რა პრობლემაა, გიყიდი, მაგრამ დაორსულებით შენ არა მგონია დაორსულდე, შემთხვევითი კავშირები შენ არა მგონია, გქონდეს და მაშ პრეზერვატივები რად გინდა, თან ამდენიო — უკითხავს დედაჩემს. რად მინდა, გოგო და, სოფელში, ღვინის ბოცებისთვის გვჭირდებაო. ფუჩეჩით თავდაცობილი არ ვარგა, რადგან ღვინო დუღილს რომ გააგრძელებს, იმ ფუჩეჩს ამოაგდებს, სათამაშო ბუშტებიც ადვილად იხევა. ახლა ყველა პრეზერვატივებს ხმარობსო... ჰოდა, ყველანი მორცხვები ვართ, შენ ამიტომ გაწუხებთო.... მოკლედ, მე იმის თქმა მინდოდა, რომ ვინც ღვინის დაყენებას აპირებთ, ეს „ნოუჰაუ“ გაითვალისწინეთ“... — წერდა ერთ-ერთი მეგობარი ფეისბუქში. კომენტარებმაც არ დააყოვნა:**

„აჰაჰა! გადავვარდი! და ქვრივ ქალს რო პრეზერვატივებს აყიდვინებს, იმისა არ რცხვენია“?

„ქვრივმა ქალმა რა ქნა, არ იკითხავ? დაიმარტოხელა ნაცნობი „ავერსელი“ პროვიზორკა და ჩასჩურჩულა, ორი ყუთი პრეზერვატივი მინდა, რამე პრობლემა ხომ არააო... იმ გოგომ კი — უი, არა, თინა დეიდა, ბოცებისთვის გინდათ ხო? ყველას მაგისთვის მიაქვსო“

„ქვევრი“ გამახსენდა“...

„თემო, თქვენთან ფუჩეჩს ხმარობენ თუ პრეზერვატივს“?

„ბუშტებსა“.

„ავაშენოთ მერე ერთი რეზინის ქარხანა და ბოცებისთვის გამოსაყენებელი პრეზერვატივების გამოშვება მაინც გამოგვივა, უფრო მნიშვნელოვანი საქმისთვის თუ ვერ გავქაჩეთ! ხალხიც დასაქმდება“! აგერ, ქალი ამბობს, რაღა დროს ბუშტები და კალოშებიაო“...

„ისე, ადგილი ხომ არ შევუნაცვლოთ პრეზერვატივებს და ფუჩეჩს?“ 8 „ბუსუსებიანი პრეზერვატივი უკეთესად აყენებს... ღვინოს“!

„იმედია, ამ სეზონზე ვინმე გააფეისბუქებს ქართული თანამედროვე მარნის ფოტოს დუღილის პროცესში“...

„ის ბუშტებიც რომ სცადონ — ყვავილები და რაღაც ასეთები რომ არის, ეგაც მხიარული იქნება“...

„მხიარულება და ესთეტიურობა მეღვინე გლეხს სულ ცალ შნუროკზე ჰკიდია, როგორც იტყვიან... მთავარია, ბოცამ არ ამოხეთქოს“...

„მომხდარა, ბოლომდე დაუდუღარი ჩაუსხამთ ბოცებში. შესულა მოგვიანებით პატრონი მარანში და რას ხედავს: საპირველმაისო პარადივით — ბუშტები! — გაბერილი“...

„ჰო. ეგ მეც გამოვცადე ერთხელ, როცა სახლში ცოტა ღვინო დავაყენე, მაშინ არ ვიცოდი ეს ამბავი.“..

„ღვინის ბოცების წაბილწვა გვაკლდა და აჰაა“!

„ახლებს იყენებენ, მეორადს კი არა“...

„ეგ ღვინო ქალებს დაალევინონ“!

„არის ამაში რაღაც დიონისური“!

„სასწრაფოდ გაიტანეთ ეს საკითხი პარლამენტის სხდომაზე“...

**ჰოდა, სანამ ამ საკითხს პარლამენტის სხდომაზე გაიტანდნენ, მანამდე კიდევ ერთი სიახლის შესახებ, ბუსუსებისა რა მოგახსენოთ და თურმე ვინმე სონეტ ელერსი დიდი ხანი მუშაობდა აფრიკაში მოხალისედ. მან ნახა, რომ სამხრეთ აფრიკაში ქალების გაუპატიურების სტატისტიკა საგანგაშოა. ასე გამოიგონა ელერსმა პრეზარვატივი ქალებისთვის, რომელიც დაიცავს მათ გაუპატიურებისგან. მისი გამოყენება ქალს ნებისმიერ წუთს შეუძლია, როგორც კი შეატყობს, რომ ძალადობის მსხვერპლი უნდა გახდეს. კონდომის შიდა მხარეს მოთავსებულია დეზები, რომელიც მოძალადე კაცს პენისს დაუზიანებს!...**

**ასე რომ, კართან მომდგარ შემოდგომას პრეზერვატივზე ახალი ფიქრი და ვნებათაღელვა მოაქვს! ისე, ურიგო არ იქნება, თუ საპრეზიდენტო კანდიდატები ამ საკითხს თავიანთ პროგრამაში ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილს დაუთმობდნენ! ვფიქრობ, წარმატებას აუცილებლად მიაღწევენ!**

**ნატა ნიბლაძე**

## კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

- მიშამ ძველი დრო გაიხსენა და მყინვარწვერზე მთავრობის სხდომის ჩატარება გადაწყვიტა.

- კაი, თუ მასე იბრდღვნიან ყველაფერს, თავიანთი კადრები გაანადგურონ, ჩვენსას შეეშვან. ბჯოს!

- 28 401 აბიტურიენტი სტუდენტი გახდა წელს.

ნორმალური ციფრია ეს, პატივცემულებო???

ამ ლოგიკით საქართველოში ყოველ წელს სულ ცოტა 15.000 ახალი სამუშაო ადგილი მაინც უნდა იქმნებოდეს...

სახელმწიფო ხომ იტყუებს თავს, ჩვენ ხომ ვიტყულებთ თავს და ამ ახალგაზრდებს რაღას ვერჩით?

განთლების სისტემის რეფორმირებაო და ა.შ. რაც არ გვაქვს, იმის რეფორმირება რანაირად იქნება?

- ჩვენი ექსპერტები და მედიაექსპერტები გავუშვათ „ციკლონის“ დასახვედრად და რაც თავისებური სისულელეების ბჟუტური იციან ხოლმე თავის კანტურით და ჭკვიანი სახეებით, ისე ვალაქლაქოთ, ეგების ქე შეეშინდეს ამ ციკლონს და კუდამოძუებული გაიქცეს. როგორი აზრია? ერთ სასარგებლო საქმეს მაინც გააკეთებენ თავიანთ ცხოვრებაში.

- ანტარქტიდაში ნავთობი აღმოაჩინეს. მალე პინგვინების სისხლიან რეჟიმს ბოლო მოეღება და იქ დემოკრატია დაისადგურებს!

- ჩანაწერები, სადაც ხალხის წამება ასახული, როგორც ნივთმტკიცება, არ უნდა განადგურდეს ! მერე დადექით და დასაჭერად სდიეთ ჯალათებს მსხლის გათლაზე.

- ეს კაცი ან დააბით ან ხაფანგი დაუგეთ, რო გაებას და ვეღარ იხეტიალოს, არ შეიძლება, კაცოო?... რა მყინვარი და ლაშქრობა, ნორმალურია ახლა ეეეს..

თქვენ წარმოგიდგენიათ რომელიმე სხვა ქვეყნის პრეზიდენტმა ასეთი ხუშტურები გაბედოს, რა ამბავი ატყდება სახელმწიფოში? ეს კიდე ბრუნეის პრინცივით ცხოვრობს და ტაშიიიიი ვითამც არაფერი.

- ისეთი სუნი მცემს მომთბარი სასტავი რახუნით ჩაიქროლებს სკამებიდან:)

- ციკლონზე გამახსენდა, ჩვენი ვადაგასული პრეზიდენტი მყინვარზე რომაა, ვინმემ ჩამოხსნას მინამ პრომეთეობა დაუწყია.

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძე**

## შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: **მეორე შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტი** (SLRPII)

განმახორციელებელი სააგენტო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ქვეყანა: **საქართველო**

პროექტის ნომერი: **P122204**

სატენდერო დოკუმენტის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: **SLRPII/CW/NCB-14**

კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: **ადგილობრივი გზის ჩალაუბანი - სიღნაღი - ანაგა რეაბილიტაცია კმ16-კმ22 რეაბილიტაცია.**

ტენდერის სახეობა: **ადგილობრივი ტენდერი.**

კონტრაქტორი: **სს „კავკასავტომაგისტრალი.“**

მისამართი: **ფალიაშვილის 72, თბილისი, 0179, საქართველო.**

კონტრაქტის ღირებულება: **3,222,876.76 ლარი** (სამი მილიონ, ორას ოცდა ორი ათას, რვაას სამოცდა თექვსმეტი ლარი და სამოცდა თექვსმეტი თეთრი.)

კონტრაქტის ხანგრძლივობა: **365** (სამას სამოცდა ხუთი) **დღე.**

## Contract Award Notification

Project Name: **Second Secondary and Local Roads Project (SLRP II)**

The project implementing Agency: **Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**

Country: Georgia

Project Number: P122204

Bid/Contract Reference No: SLRP II/CW/NCB-14

Scope of Contract: **Rehabilitation of the local road Chalaubani – Signagi – Anaga km16-km22**

Bid type: **National Competitive Bidding.**

Contractor: **JSC "CAUCASAUTOMAGISTRALI"**

Address: **Paliashvili str. 72, Tbilisi, 0179, Georgia.**

Total contract cost: **3,222,876.76 GEL** (Three Million, Two Hundred and Twenty Two Thousand, Eight Hundred and Seventy-Six Laris and Seventy-Six Tetris.)

Contract duration: **365** (Three Hundred and Sixty Five) **days.**

## განცხადება აუქციონის შესახებ

**2013 წლის 13 სექტემბერს, 11.00 საათზე,** მისამართზე: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7, II სართული, საგამოფენო დარბაზში, ჩატარდება აუქციონი, რომელზეც მოხდება ეკატერინე თოფურიას (პ/ნ 01010000291), ირაკლი კაკოიშვილის (პ/ნ 21001002417), შპს „სვიზ ბეიკერის“ (ს.ნ. 205002110) საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების რეალიზაცია:

გასაყიდად გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

- ეკატერინე თოფურიას (პ/ნ 01010000291) საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი — მდებარე: ქ.თბილისი, ქუჩა ფალიაშვილი, №108, სართული 3, ბინა 4, ფართი: 120.90 კვ.მ., მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.14.11.021.009.01.504;

უძრავი ნივთის საწყისი ფასია: 130,703 (**ას ოცდაათი ათას შვიდას სამი აშშ დოლარი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.**

- ეკატერინე თოფურიას (პ/ნ 01010000291) საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი — მდებარე: ქ.თბილისი, ქუჩა ფალიაშვილი, №108, სართული 3, სართული 2, ავტოსადგომი №17, ფართი: 18.00 კვ.მ., მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.14.11.021.009.01.505;

უძრავი ნივთის საწყისი ფასია: 7,784 **(შვიდი ათას შვიდას ოთხმოცდაოთხი აშშ დოლარი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.**

- ირაკლი კაკოიშვილის (პ/ნ 21001002417) საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი — მდებარე: ქ.თბილისი, ქუჩა ჩეხოვი, №37, ფართი 40.80 კვმ., მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.17.01.110.008.01.501;

უძრავი ნივთის საწყისი ფასია: 15,259 **(თხუთმეტი ათას ორას ორმოცდაცხრამეტი აშშ დოლარი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.**

- შპს „სვიზ ბეიკერის“ (ს/ნ 205002110) საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი — მდებარე: ქ.თბილისი, ქუჩა ი. ჯავახიშვილი, №4, საცხოვრებელი ფართი ლიტ. „ვ“ 51.00 კვ.მ., დამხმარე ფართი ლიტ. „ვ“ 25.00 კვ.მ., მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.16.05.029.004.01.506;

უძრავი ნივთის საწყისი ფასია: 32,384 **(ოცდათორმეტი ათას სამას ოთხმოცდაოთხი აშშ დოლარი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.**

ყველა, ვისაც უფლებები აქვს აუქციონზე გასაყიდ ნივთ(ებ)ზე, ვალდებულია, ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარადგინოს აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილის მიერ თანხის სრულად დაფარვას აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში; საბანკო გარანტიის ოდენობა უნდა შეადგენდეს უძრავი ნივთის საწყისი ფასის ერთ მეათედს; საბანკო გარანტიის პირველად ბენეფიციარად დასახელებული უნდა იყოს კრედიტორი — სს „თიბისი ბანკი“.

აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება ის, ვინც ვაჭრობაზე დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებული იქნება გადასახდელი თანხა ერთი კვირის განმავლობაში შეიტანოს ან ჩარიცხოს სს ,,თიბისი ბანკში“ შემდეგ ანგარიშზე **GE30 TB11 0045 0113 0055 55,** რის შემდეგაც ის გახდება აუქციონზე შეძენილი ნივთის მესაკუთრე.

### საჯარო შეტყობინება აუქციონის შესახებ შპს „სვიზ ბეიკერს“(ს.ნ. 205002110), ეკატერინე თოფურიას (პ.ნ. 21001002417), ირაკლი კაკოიშვილს (პ.ნ. 01010000291)

ეცნობოს შპს „სვიზ ბეიკერს“, ეკატერინე თოფურიას, ირაკლი კაკოიშვილს რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია, აუცქიონის შესახებ, ითვლება მათთვის საჯარო შეტყობინებად. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უწყება (შეტყობინება) მხარეებისათვის ჩაბარებულად ითვლება მისი გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

**სპეციალისტი სს „თიბისი ბანკი“**
**მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7**

წინ, საქართველო!

# „ჯვაროსნები“ იღუპებიან და იბადებიან




**გილოცავთ, თანამემამულენო! — საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა შთამბეჭდავი გამარჯვებით დაიწყო ევროპის საკალათბურთო ჩემპიონატი, რომელსაც სლოვენია მასპინძლობს.**

იგორ კოკოშკოვის გაწვრთნილმა გუნდმა ტრავმირებული ლიდერების — ზაზა ფაჩულიასა და თორნიკე შენგელიას არყოფნის მიუხედავად, ისეთი ალიყური უთავაზა პოლონეთს, რომლისგან გამორკვევასაც, ძნელი სათქმელია, როგორ მოახერხებს ჩვენი გუშინდელი მეტოქე.

**საქართველო — პოლონეთი 84:67**

**საქართველო:** სანიკიძე — 23, მარკოიშვილი — 18, შერმადინი — 13, ცინცაძე — 11, ჰიკმანი — 9, ცქიტიშვილი — 3, ლეჟავა — 3, ბურჯანაძე — 2, მეტრეველი — 2 ქულა.

სატურნირო სტრატეგიის გათვალისწინებით, „ჯვაროსნებს“ ძველ ნაცნობებთან წაფორთხილების უფლება არ ჰქონდათ, წინააღმდეგ შემთხვევაში მეორე ჯგუფურ ეტაპზე გასვლის ისედაც მიზერულ შანსს საბოლოოდ დაემშვიდობებოდნენ.

ეს სათქმელადაა ადვილი, თორემ გორტატთან, ლამპესთან, კელატისთან და კომპანიასთან გამკლავება როგორი რთული საქმეცაა, ქართველ გულშემატკივარს კარგად მოეხსენება.

ახლა, როცა ყველაფერი მშვენივრად დასრულდა და ემოციები დაცხრა, სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ: თურმე ისეთი თაობა გვყოლია, რომელსაც საკადრო პრობლემების მიუხედავადაც ხელეწიფება ლოკალური წარმატებების მოპოვება.

ისე არ გაგვიგოთ, თითქოს ეიფორიაში ჩავვარდით. არამც და არამც.უბრალოდ, ისეთია სანიკიძის, მარკოიშვილის, ცინცაძისა და შერმადინის ინდივიდუალური ოსტატობა, რომ თითოეულ მათგანს ყველასთან, თვით ჩვენი ჯგუფის ფავორიტებთანაც მოეთხოვებათ სამაგალითო გარჯა და, ალბათ, ასეც იქნება. ვინატროთ, რომ სოლისტებს დანარჩენებმაც აუბან მხარი, უპირველესად — ჰიკმანმა, რომელმაც შარშანდელ ევროლიგაში ფურორი მოახდინა.

დღეს 16 საათსა და 30 წუთზე ქალაქ ცელიეში დიდი ომი გვაქვს ხორვატებთან. უყურეთ I არხს!

**გია პლატონიშვილი**

ჭადრაკი

# ტაშკენტისკენ ჰერი, ჰერი!



**ფიდეს ქალთა გრან პრის 2013-2014 წლების გათამაშება ექვსი ეტაპისგან შედგება. საერთო გამარჯვებული 2015 წელს მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინისთვის იბრძოლებს, ამიტომ თითოეული რაუნდის მოგებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. პირველ ეტაპზე ჟენევაში ბელა ხოტენაშვილმა მიაღწია წარმატებას, მეორეში უძლიერესი იყო ინდოელი ჰამფი კონერუ.**

ორი რაუნდის შემდეგ პირველ-მეხუთე ადგილებზე არიან ანა მუზიჩუკი (250 ქულა), ნანა ძაგნიძე (220), ტატიანა კოსინცევა (190), ბელა ხოტენაშვილი (170) და ჰამფი კონერუ (160).

18-30 სექტემბერს უზბეკეთის დედაქალაქში გრან პრის მე-3 ეტაპი გაიმართება, რომელშიც ჰამფი კონერუ (რეიტინგი — 2607), ჟაო სიუე (ჩინეთი, 2579), ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი, 2535), კატერინა ლაგნო (უკრაინა, 2532), ბელა ხოტენაშვილი (2514), ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა, 2505), ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი, 2496), ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2495), ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი, 2475), ელინა დანიელიანი (სომხეთი, 2470), ოლგა გირია (რუსეთი, 2439) და ანფისა მუმინოვა (უზბეკეთი, 2293) ითამაშებენ.

**ლექსო ცინცაძე**

ლეგიონერი

# არაბულის შთამბეჭდავი დებიუტი „ხეტაფესთან“

**ესპანურ „ალკორკონში“ 6-თვიანი იჯარით გადასულმა ბაჩანა არაბულმა სადებიუტო შეხვედრა „ხეტაფეს“ წინააღმდეგ გამართა და ბაჩანას გუნდმა 6:1 გაანადგურა მეტოქე. სხვათა შორის, „ხეტაფემ“ ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშა. ეს იყო „პუჩეროს თასი“, რომელიც ყოველწლიურად თამაშდება მადრიდის ამ ორ გუნდს შორის.**

თუმცა, ჩვენ კონკრეტულად არაბულის ამბავი უფრო გვაინტერესებს და სასიხარულოა, რომ 19 წლის ქართველმა მშვენივრად ჩაატარა მატჩი: მე-12 წუთზე პენალტის უფლება მოიპოვა და დანი პაჩეკომ ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში, 27-ე წუთზე კი თავად ბაჩანამ მიითვალა გოლი — 2:0.

გუნდებს შეცვლაზე ლიმიტი არ ჰქონდათ, ამიტომაც ორივე გუნდის მწვრთნელმა თერთმეტივე ფეხბურთელი შეცვალა. არაბულს მეორე ნახევარში აღარ უთამაშია.

**გიორგი შოთაძე**



ჭიდაობა

# თავისუფალთა მსგეფსი

**16-22 სექტემბერს უნგრეთის დედაქალაქი ბუდაპეშტი მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის უკეთ მოსამზადებლად საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები ბორჯომში ემზადება. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა რევაზ მინდორაშვილმა სწორედ იქ დაასახელა ის შვიდეული, რომელიც მადიარების ქვეყანაში საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავს. ესენი არიან: გიორგი ედიშერაშვილი (55, თბილისი), ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (60, გორი), ლევან ქელეხსაშვილი (66, ხაშური), იაკობ მაქარაშვილი (74, თბილისი), დავით მარსაგიშვილი (84, ყაზბეგი), დავით ქერაშვილი (96, თბილისი) და გენო პეტრიაშვილი (120, გორი).**

მთავარმა მწვრთნელმა არ დაარღვია ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის განკარგულება და



მსოფლიოს პირველობაზე, მარსაგიშვილის გარდა, საქართველოს თასის მფლობელები მიჰყავს. მარსაგიშვილისთვის გამონაკლისი იმიტომ დაუშვეს, რომ თასის გათამაშებისას მას ტრავმა ჰქონდა, თან უშუალო კონკურენტს, თასის გამარჯვებულ სანდრო ამინაშვილს სომხეთში გამართულ შეკრებაზე პირადი შეხვედრა მოუგო. შეგახსენებთ, რომ მარსაგიშვილი და ედიშერაშვილი ევროპის წლევანდელი ჩემპიონები არიან, ხინჩეგაშვილი და პეტრიაშვილი მესამე ადგილებზე გავიდნენ. წინა მსოფლიოს პირველობის პრიზიორ დავით ხუციშვილს (74) ტრავმა აქვს, დავით მოძმანაშვილი (120) კი ნაკრებში ვერ მოხვდა. მართალია, მინდორაშვილს ახლანდელ შემადგენლობაში ოთხი დებიუტანტი (ედიშერაშვილი, ქელეხსაშვილი, მაქარაშვილი და პეტრიაშვილი) ჰყავს, მაგრამ მათ საერთაშორისო ტურნირებზე წარმატებული გამოსვლის გამოცდილება არ აკლიათ.

ჩვენი გუნდი ბუდაპეშტს 14 სექტემბერს გაემგზავრება.

**გივი გაგუა**

ინტერნეტიდან

# მესის ძველი სატრფო ნანობს



**წლების წინათ ისე მოხდა, რომ არგენტინელი მოდელი მაკარენა ლემოსი ყმაწვილი ლეო მესის საწოლში აღმოჩნდა. არგენტინელი სუპერვარსკვლავი მაშინ სულ პატარა ბიჭი იყო და როგორც ამ ასაკის ბალღებს შეეფერება, ახალ პარტნიორებთან თანაცხოვრებაზე უარი არ უთქვამს (ან კი რატომ უნდა ეთქვა?).**

ამ ამბის შემდეგ საკმაო დრო გავიდა. მესი მექალთანე კაცად ნამდვილად არ ითვლება და დღეს კატალონიის „ბარსელონას“ ბომბარდირს უკვე ოფიციალური სატრფო ჰყავს, რომელმაც ცოტა ხნის წინათ ვაჟიშვილიც გაუჩინა.

ეს ჩვენი (თუ ლეოს) მაკარენა კი ადგა და რაც იცოდა თუ არ იცოდა, ყველაფერი წამოაყრანტალა. რაც მთავარია, ლემოსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლეო მესი დღემდე უყვარს და ძალიან წუხს, რომ თავის დროზე არგენტინელ ფეხბურთელთან ურთიერთობები აღარ გააგრძელა...

**როსტომ რაჭველიშვილი**

ძიუდო

# უკრაინული ნადავლით

**2015 წელს საქართველოს დედაქალაქში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალში 1997-1999 წლებში დაბადებული ძიუდოისტები იასპარეზებენ. „თბილისი-2015“-ისთვის ქართველი კიმონოიანები აქედანვე მონდომებით ემზადებიან, რომ მეტოქეებს კონკურენტუნარიანი გუნდებით დახვდნენ. სწორედ ამ ასაკის ძიუდოისტები მონაწილეობდნენ იალტის (უკრაინა) მე-18 საერთაშორისო ტურნირში.** საპრიზო ადგილებისთვის ქართველებთან ერთად ბელარუსის, რუსეთის, აზერბაიჯანის, ისრაელის, ყაზახეთის, მოლდოვისა და უკრაინის 15 რეგიონის წარმომადგენლები იბრძოდნენ. ჩვენი სპორტსმენები შეჯიბრებიდან ხელდამშვენებული დაბრუნდნენ. გოგონებში ოქროს მედლები ნატა ყიფშიძემ (44) და ეთერ ლიპარტელიანმა (52) მოიპოვეს, თამარ მჭედლიშვილი (57) და ნათია მიქაბერიძე (63) კი მესამე ადგილებზე გავიდნენ. ბიჭებიდან კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ბაგრატ ნინიაშვილი (55) და ნიკა ლაბაძე (66). მხოლოდ ფინალური პაექრობები დათმეს და მეორე ადგილებს დასჯერდნენ ვანო ხუბაშვილი (50), ალეკო სულაკაძე (60) და ნიკა სიდამონიძე (73), ხოლო გელა გარაყანიძეს (50), ვანო ნინიაშვილსა (55) და ონისე სანებლიძეს (73) მესამე ადგილები ერგოთ. ქართველებმა გუნდურ პირველობაშიც ყველას აჯობეს — როგორც გოგონებში, ისე ვაჟებში პირველი ადგილები დაიკავეს.



ყირიმული ტურნირისთვის გუნდები მოამზადეს მწვრთნელებმა თამაზ კარიაულმა, ნესტორ ხერგიანმა, გრიგოლ მამრიკიშვილმა, ჯონი თურქაძემ და დავით თევდორაძემ.

**ლაშა დიდია**

## კანონმდებლობა

# მკაცრი კონტროლი თავისუფალ კონკურენციაზე

**შარშანდელი საპარლამენტო არჩევნებიდან ჯერ ერთი წელიც არ არის გასული, თუმცა როგორც ამას წინათ დეპუტატმა ზაქარია ქუცნაშვილმა ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში აღნიშნა, ამ ხნის მანძილზე (ცხადია, მოსამზადებელი და საზაფხულო არდადეგების დროის გამოკლებით), უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ 202 ახალი კანონი და მოქმედ კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი შესწორება შეიტანა. ფაქტობრივად გამოდის, რომ ყოველთვიურად კანონმდებლობაში ორ ათეულზე მეტი ახალი რეგულაცია შედიოდა, რაც, დაგვეთანხმებით, ძალიან ბევრია. რამდენად წაადგება თითოეული მათგანი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, დასახული მიზნების მიღწევას, მოსახლეობის სოციალური ყოფის, ჯანდაცვის მდგომარეობის დონეებისა და ა.შ. ამაღლებას, ამას მომავალი გვაჩვენებს, რადგან, ცხადია, მთავარია არა თავად კანონის მიღება თუ მასში შესწორების შეტანა, არამედ მიღებულის ცხოვრებაში გატარება. ამასთან საკანონმდებლო ასპარეზზე კიდევ უამრავი საქმე რომაა გასაკეთებელი, ესეც არავითარ ეჭვს არ იწვევს.**

ადრეც არაერთგზის გვითქვამს და ახლაც გავიმეორებთ, რომ ეკონომიკური განვითარებისთვის ზოგადად და ქვეყანაში საშუალო კლასის ჩამოყალიბება-მომძლავრებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იქნება „კონკურენციის შესახებ“ ახალი, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ანტიმონოპოლიური კანონის მიღება და მის შესრულებაზე ქმედითი ორგანოს ჩამოყალიბება. ახალი კანონი პარლამენტს თითქოს გაზაფხულის სესიაზე უნდა განეხილა, რის თაობაზე ვწერდით კიდეც, მაგრამ გაურკვეველ მიზეზთა გამო ეს პროცედურა შემოდგომისთვის გადადეს, მანამდე კი იგი მთავრობამ უნდა განიხილოს.

არსებული ინფორმაციით, ამჟამად „კონკურენციის შესახებ“ კანონპროექტი საერთაშორისო რეკომენდაციების, ასევე ადგილობრივი ბიზნესის წაგრმომადგენელთა და ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებითაა შემუშავებული და შესაბამისობაშია ევროკავშირის კონკურენციული სამართლის მთავარ დებულებებთან.

საექსპერტო შეფასებებით, შარშან მიღებული „კონკურენციის შესახებ კანონისგან“ განსხვავებით **განსახილველ კანონპროექტში მისი მოქმედების არეალი საგრძნობლად გაზრდილია და ეკონომიკის უკლებლივ ყველა დარგს, ადგილობრივი მმართველობის ყველა ორგანოსა და ბიზნესში ჩართულ ყველა იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს ეხება.** დიდად მნიშვნელოვანია ასევე მისი მოქმედების გეოგრაფიაც და იმ შემთხვევაში, **თუკი ქვეყნის ფარგლებს გარეთ გარკვეული ქმედებები მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს საქართველოს შიდა ბაზარზე, კერძოდ, არსებითად შეზღუდავს კონკურენციას, ანდა ამის საშიშროება წარმოიშვება, მის დებულებათა საზღვრებს გარეთ გამოყენების შესაძლებლობასაც ითვალისწინებს.** ეს კი, დაგვეთანხმებით, ძალიან დიდი და პრინციპული განსხვავებაა ამჟამად მოქმედი კანონმდებლობისგან.

კანონპროექტით **დაუშვებელი იქნება კონკურენტი აგენტების (ფირმების, კომპანიების, სხვა იურიდიული პირების) გარკვეული ტიპის შეთანხმებები და ისეთი მოქმედებები (ანუ ეგრეთ წოდებული „კარტელური გარიგეგები“), რომელთა მიზანი, მათ შორის ბაზრის დაყოფა, პროდუქციაზე ფასების დადგენა და სხვ., რომლებიც შეზღუდავენ თავისუფალ კონკურენციას.** ეს დებულება სავსებით თანხვედრშია როგორც ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედ ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობასთან, ასევე მნიშვნელოვან საერთაშორისო ინსტიტუტების (მაგალითად, მსოფლიო ბანკის) ტიპურ წესებთან. ამასთან, საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ **შემცირებულია კონკურენციის შემზღუდავი გარიგებების განმსაზღვრელი კრიტერიუმების არეალი, რომელთა ჩარჩოები ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი წესების შესაბამისად კონკრეტულადაა განსაზღვრული.** კერძოდ, ჰორიზონტალურ შეთანხმებათა მონაწილეთათვის ეს არეალი ბაზრის 10 პროცენტით, ხოლო ვერტიკალური და კონგლომერატული შეთანხმებების მონაწილეთათვის 15 პროცენტითაა განსაზღვრული. ამდენად, ბაზარზე თავისუფალი კონკურენციისთვის საშუალო და მცირე აგენტებს სამოღვაწეოდ გაცილებით დიდი სივრცე რჩებათ.

კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს **ნორმატიული აქტების სავალდებულო ექსპერტიზას,** როგორც მათი რეგისტრაციის აუცილებელ პირობას, რაც ასევე მეტად სერიოზული დებულებაა თავისუფალი კონკურენციის დასამკვიდრებლად. მეტად საყურადღებოა ასევე სიახლე, რომელიც ეგრეთ წოდებულ **„თანამშრომლობის პროგრამას“ ითვალისწინებს. მისი არსი ისაა, რომ საჯარიმო სანქციებისგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლდება აკრძალული კარტელური გარიგების ის მონაწილე, რომელიც ნებაყოფლობით ამხელს მის წევრებს და ითანამშრომლებს ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარებაზე პასუხისმგებელ სააგენტოსთან შესაბამისი გამოძიების პროცესში.** ამჟამად, ქვეყანაში ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შესრულებაზე ფაქტობრივად უფუნქციო სახელმწიფო შესყიდვებისა და კონკურენციის სააგენტოს აქვს დაკისრებული. მომავალში მოღვაწეობის ეს ორი სფერო გაიმიჯნება, თუმცა სახელმწიფო შესყიდვებზე ანტიმონოპოლიური ზედამხედველობა აუცილებლად გავრცელდება.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ კანონპროექტში **შემცირებულია საჩივართა განხილვის ვადები, რომელთა წარმოებაში მისაღებად საქონლის ან მომსახურების ფასი აუცილებელ პირობას აღარ წარმოადგენს.** გარდა ამისა, შეიცვალა, დაზუსტდა ან განივრცო 2012 წლის „კონკურენციის შესახებ კანონის“ ზოგიერთი დებულება, დაემატა მთელი რიგი ტერმინი, რითაც იგი გაცილებით უფრო სრულყოფილი გახდა.

ცალკე გამოსაყოფია ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, როგორიცაა **თავისუფალი კონკურენციის სივრცეში უკლებლივ ყველა მომხმარებლის უფლებების დაცვა.** უნდა ითქვას, რომ ბევრ ქვეყანაში აღნიშნული საკითხი კონკურენციის შესახებ მთავარი კანონის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, თუმცა კი ზოგან მომხმარებელთა ეკონომიკურ უფლებებს ცალკე კანონი იცავს. მიუხედავად საკანონმდებლო განსხვავებებისა, მომხმარებელთა უფლებების დაცვის უფლებამოსილება თითქმის ყველგან ერთ უწყებას აქვს დაკისრებული. სადღეისოდ მომხმარებელთა უფლებების დაცვა, ჩვენში, რეალურად, მხოლოდ სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის, ასევე წამლების ხარისხის კონტროლით სათანადო უწყებების მიერ ხორციელდება, სხვა სფეროებზე ზედამხედველობა ამ მხრივ სახელმწიფო შესყიდვებისა და კონკურენციის სააგენტოს ევალება. ახალ პროექტში მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე კონტროლი რეორგანიზებულ სტრუქტურას უნდა დაკისრებოდა, თუმცა კი ჯერჯერობით მას ეს ფუნქცია არ ექნება და მხოლოდ თავისუფალი კონკურენციის პრობლემების გადაჭრით იქნება დაკავებული. ასეთი დამოუკიდებელი და ქმედითი სააგენტოს შექმნა ევროკომისიის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა, თანაც მისი არსებობა განპირობებულია ასევე საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებებით და შიდა ბაზრის განვითარების აუცილებლობითაა ნაკარნახევი. მის ქმედითუნარიანობას კი, პირველ ყოვლისა, სათანადო აქტებით გამყარებული საფუძვლიანი საკანონმდებლო ბაზა განაპირობებს.

ამის გათვალისწინებით, თავისუფალი კონკურენციის პოლიტიკის დაცვაზე უფლებამოსილი ძლიერი ეროვნული სააგენტო ყოველგვარი წნეხისგან თავისუფალი, ჭეშმარიტად დამოუკიდებელი უწყება უნდა იყოს, რადგან მეწარმისთვის ბაზარზე შესასვლელად ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული ბარიერების მოხსნა კი არის მეტად მნიშვნელოვანი, თუმცა კი სრულფასოვანი, თანაბარუფლებიანი კონკურენტული გარემოს დასამკვიდრებლად ნამდვილად არასაკმარისი პირობა.

**ოთარ ტურაბელიძე**

## ინფორმაცია

### ქართული ფილმი „ოსკარზე“ წარადგინეს

**ქართველი კინოკრიტიკოსებისა და კინემატოგრაფისტების მიერ შემდგარმა ჯგუფმა ამერიკის კინოაკადემიის დაჯილდოებაზე წარსადგენად ნანა ექვთიმიშვილისა და სასი მონგროსის მიერ გადაღებული ფილმი — „გრძელი ნათელი დღეები“ შეარჩია.**

**კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრში, „ოსკარზე„ განაცხადი სამი ფილმის ავტორებმა წარადგინეს. ეს ფილმებია — „გრძელი ნათელი დღეები“ (რეჟ: ნანა ექვთიმიშვილი და სასი მონგროსი), „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს“ (რეჟ: თინა გურჩიანი) და „იბრძოლე“ (რეჟ: გიორგი მეგრელიშვილი).**

**17-წევრიანმა კომისიამ ორი დღის განმავლობაში სამივე ფილმი განიხილა და ერთობლივი გადაწყვეტილებით გადაწყვიდა, რომ „ოსკარზე“ „გრძელი ნათელი დღეები“ იქნება წარდგენილი.**

**როგორც „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას კინომცოდნეებმა და კინოკრიტიკოსებმა განაცხადეს, ფილმ „გრძელ ნათელ დღეებს“ „ოსკარის“ დაჯილდოებამდე რამდენიმე ტურის გავლა მოუწევს, რათა სწორედ „ოსკარის“ ცერემონიალამდე გადაწყდეს რომელ ნომინაციაში გავა აღნიშნული ფილმი.**

**როგორც კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრში აცხადებენ, ამერიკის კინოაკადემიის 86-ე დაჯილდოების ცერემონია ამერიკის შეერთებულ შტატებში 2 მარტს გაიმართება.**

**ქართული კინემატოგრაფიის ისტორიაში „გრძელი ნათელი დღეები“ მეორე ფილმია, რომელიც „ოსკარზეა“ წარდგენილი, პირველი ქართული ფილმი იყო ნანა ჯორჯაძის „შეყვარებული კულინარის ათას ერთი რეცეპტი“.**

**ინტერპრესი**

## გაითვალისწინეთ!

# აქტიური პროცესები სექტემბერში

**სექტემბერში გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია: 2, 5-6, 9-14, 17-20, 23, 27, 28 რიცხვებში. ამ დღეებში მოსალოდნელია ციკლონებისა და გრიგალების ჩამოყალიბება, ყველა სახის ავარიულობის ზრდა, სეისმოაქტივობისა და სოციუმში დაძაბულობის გაძლიერება.**

**5 – სავსე მთვარე**. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. შეიძლება შეინიშნებოდეს გაღიზიანებულობა, დათრგუნვა, დეპრესია, გონებრივი და ფიზიკური აქტიურობის დაქვეითება, რეაქციის შენელება, სწორ გადაწყვეტილებათა მიღების შეუძლებლობა. დღეს და ხვალ რეკომენდებული არ არის, დავიწყოთ ახალი საქმეები, ავაგოთ გეგმები, ვიმუშაოთ პასუხსაგებ დოკუმენტებზე, გავიკეთოთ ოპერაციები, ნემსები. შესაძლებელია კუჭისა და კუჭქვეშა ჯირკვლის მოშლილობა, ყაბზობა, კუჭის აშლილობა, თავის ტკივილი, უძილობა. რეკომენდებულია უფრო მეტი დავისვენოთ, თავი ავარიდოთ კონფლიქტებსა და სტრესებს, გავუფრთხილდეთ ნერვულ სისტემას, ხელსაყრელი დროა პროფილაქტიკური გასინჯვისთვის, სერიოზული მკურნალობისთვის მომზადება, მავნე ჩვევებისთვის თავის არიდება.

**6 – მთვარე-მერკურის შეერთება**. შესაძლებელია ტკივილები მენჯის სახსრებში, ხელებსა და მხრებში, რადიკულიტი. სასარგებლოა სახსრების ვარჯიში და სამკურნალო ტანვარჯიში. არ არის გამორიცხული თირკმელების, შარდის ბუშტის, კანის დაავადებანი. აუცილებელია დავიცვათ დიეტა: უარი ვთქვათ ცხარე და ცხიმიან საკვებზე, ალკოჰოლზე, ერიდეთ გაციებას, განსაკუთრებით მენჯის არეში, რათა არ გავიცივოთ თირკმელები, შარდის ბუშტი და საჯდომი ნერვი. გახსოვდეთ, ცივი ფეხები — პიელონეფრიტის პირველი „მეგობარია“. ხელსაყრელი დროა მეგობრული შეხვედრებისთვის, საუბრებისთვის, გასეირნებისა და დასვენებისთვის. საქმიანი შეხვედრები ჯობია გადავდოთ. იყავით ფრთხილად ტრანსპორტით მოგზაურობის დროს.

**9 – მთვარის ვენერასთან და სატურნთან შეერთება**. მერკური გადადის სასწორის ნიშანში. შესაძლებელია სირთულეები ურთიერთობებში, პრობლემები შარდსადენებისა და სასქესო სფეროში, ფარისებრი და კუჭქვეშა ჯირკვლების დაავადებანი, ჰემოროი. გაზრდილია ტრავმებისა და ვენერიულ დაავადებათა საფრთხე. არ არის გამორიცხული ტკივილები ხერხემალში, ძვლებსა და სახსრებში. რეკომენდებულია უარი ვთქვათ ცხარე, ცხიმიან საკვებსა და ალკოჰოლურ სასმელებზე, სიმძიმეების გადატანაზე და დაძაბულ ფიზიკურ სამუშაოზე, ყურადღება მიაქციეთ გამოსაყენებელი პროდუქტების კარგ ხარისხს, ერიდეთ გაციებას, ფრთხილად მიირთვით ცივი სასმელები და ნაყინი.

**12 – მთვარის პირველი მეოთხედი**. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. არის ღვიძლის ქრონიკული დაავადების, სისხლძარღვთა სისტემის, ფილტვების, საჯდომი ნერვისა და მენჯის სახსრების ქრონიკულ დაავადებათა გამწვავების ალბათობა, რადიკულიტი. საჭმელი კარგად აითვისება — შეიძლება წონაში მოვიმატოთ. ერიდეთ გაციებას მენჯის არეში, დაიცავით დიეტა, გაუფრთხილდით ნერვულ სისტემას, ერიდეთ დავებსა და კონფლიქტებს, არ გადატვირთოთ ფეხები. სასარგებლოა საერთო გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი, ნელთბილი სამკურნალო აბაზანები, კვებითი ნიღბები, გასეირნება სუფთა ჰაერზე.

**14 – მთვარე-ნეპტუნის შეერთება**. დიდია მოტეხილობის, დაავადებათა გამწვავების ალბათობა სახსრებში, კბილებსა და ტანში, არ არის გამორიცხული შარდსასქესოს სფეროს ორგანოების დაავადება, სულისკვეთების დაცემა და უხასიათობა. საზიანოა ინტენსიური ფიზიკური დატვირთვა, სიმძიმეების გადატანა, გადაციება. სასარგებლოა ტანის მოვლა და გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი. შესაძლებელია პრობლემები საფინანსო სფეროსა და ბიზნესში.

**17 – მთვარე-ნეპტუნის შეერთება**. შესაძლებელია ღვიძლის, სისხლის დაავადებათა გამწვავება, მხედველობის დასუსტება. მეტად საალბათოა ტკივილები ტერფებსა და ფეხის ვენებში. უსიამოვნო შეგრძნების შესამცირებლად სასურველია არ დავძაბოთ თვალები და უარი ვთქვათ ხანგრძლივ დგომასა და სიარულზე. ტერფების სისხლის მომარაგების გასაძლიერებლად უნდა მოვახდინოთ მათი მასირება, ვიაროთ ცერებზე, ტერფებზე ორ-ორი წუთი, გამოვიყენოთ მასაჟორები და კუზნეცოვის აპლიკატორი.

**19 – სავსე მთვარე**. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. აქედან ბევრ ადამიანს შეიძლება განუვითარდეს გაღიზიანებულობა, აღგზნებადობა, მოუთმენლობა, შესაძლებლობათა გადაფასება. მოსალოდნელია ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, არტერიული წნევის ამაღლება, თავის ტკივილები, ფსიქიკურ დაავადებათა, უძილობის გაძლიერება. საკვებს კარგად ვითვისებთ —შეიძლება წონაში მოვიმატოთ. საზიანოა ალკოჰოლი, ცხიმიანი და ცხარე საკვები, ყავა, შოკოლადი. არის უხარისხო საკვები პროდუქტებით, გაზით, შხამიანი სითხეებით, საყოფაცხოვრებო ქიმიის საშუალებებით მოწამვლის ალბათობა. სასარგებლოა სრულფასოვანი დასვენება, სუფთა წყალი, ზომიერი ფიზიკური ვარჯიშები, გასეირნება.



**20 – მთვარე-ურანის შეერთება**. შესაძლებელია კბილების, თვალების, კისრის დაავადებანი, უძილობა, ნერვული მოშლილობა, ნევრალგია. ერიდეთ დაცემას, ინფექციურ დაავადებებს, ცუდად მოფიქრებულ გადაწყვეტილებებს. მიეცით დასვენების საშუალება თვალებს, სვით მეტი სუფთა წყალი, უარი თქვით აღმგზნებ საშუალებებზე, შოკოლადზე, ცხიმიან საკვებზე, მოწევაზე. სასარგებლოა გამაჯანსაღებელი ღონისძიება, გასეირნება, ზომიერი ფიზიკური ვარჯიშები. სასურველია ამ დღისთვის არ დავგეგმოთ ახალი საქმეები — ვითარება შეიძლება მკვეთრად შეიცვალოს.

**27 – მთვარის უკანასკნელი მეოთხედი, მთვარის აპოგეა, მთვარის დაძაბული ასპექტები**. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. ორგანიზმში ყველა პროცესი ნელდება, ქვეითდება იმუნიტეტი. შესაძლებელია ღვიძლისა და შარდის ბუშტის მუშაობის დარღვევა, შეშუპება, კუჭ-ნაწლავთა ტრაქტის მუშაობაში შეფერხებები. საზიანოა ალკოჰოლი, მძიმე საკვები, სტრესები და გადაღლილობა. ჩამსვლელ მთვარეზე სასურველია ვაკეთოთ საქმეები, რომლებიც არ მოითხოვენ დიდ ემოციურ და ენერგეტიკულ დანახარჯებს, დავამთავროთ დაწყებული საქმეები. ხელსაყრელი დროა დასვენებისთვის.

**28 –მთვარე-იუპიტერის შეერთება**. შესაძლებელია პრობლემები ღვიძლთან, კუჭქვეშა ჯირკვალთან, სარძევე ჯირკვლებთან დაკავშირებით, ალერგია, შეშუპება, აუცილებელია სწორი კვება, დიეტის დაცვა, უარის თქმა ალკოჰოლზე, ცხარე და ცხიმიან საკვებზე. გაზრდილმა მადამ შეიძლება დაარღვიოს კუჭის მოქმედება, გამოიწვიოს ჰეპატიტისა და დიაბეტის განვითარება. რეკომენდებულია სისხლი გვქონდეს სუფთა, ერიდეთ ზედმეტ კვებას, დიდი ოდენობით ტბილეულს. არ არის სასურველი გაციება და ძლიერი ბიოქიმიური პრეპარატები.

## ისტორიის ფურცლები

# რაისა გორბაჩოვას „დედიკოს სკოლა“

**მოგეხსენებათ, ძლიერთა ამა ქვეყნისა, ასე ვთქვათ, „შიდა სამზარეულოს ამბები“ სხვებზე უკეთ მომსახურე პერსონალმა, მათ შორის დაცვის ხალხმა იცის. მათ რიცხვში უდავოდ არის სუკ-ის გადამდგარი პოლკოვნიკი ვიქტორ კუზოვლევი, რომელიც კლიმენტ ვოროშილოვიდან დაწყებული ბორის ელცინამდე ყოფილი სსრ კავშირის მმართველ ელიტას იცავდა. მისი მემუარების ერთი ნაწილი აწ უკვე დაშლილი ქვეყნის პირველ და ერთადერთ ჭეშმარიტ პრეზიდენტს... რაისა გორბაჩოვას ეხება.**

მიხეილ გორბაჩოვი ქვეყნის მართვას სიცოცხლის ბოლომდე აპირებდა – ამის ნათელი დასტური თუნდაც შავი ზღვის კავკასიის სანაპიროზე, მიუსერაში, მისი საარაკო ფუფუნების მშენებარე აგარაკია, სადაც შესვლა... პოლიტბიუროს წევრებისთვისაც კი აკრძალული იყო(?!). მის გვერდით სტალინის ყოფილი აგარაკი ლატაკი მებადურის ქოხივით ჩანდა! მეორე აგარაკი მისთვის ყირიმის ფოროსში ააშენეს, სადაც უზარმაზარი კლდის ადგილზე ლამის სამოთხის ბაღები გაახარეს!!



ყველაფერ ამაზე პოლკოვნიკი კუზოვლევი ყურადღებას იმიტომ ამახვილებს, რომ ამით ხაზს უსვამს, რომ გორბაჩოვების შედუღაბებულ ოჯახში პირველი ვიოლინო სწორედ რაისა იყო. გარდა იმისა, რომ ქმართან ერთად წმინდა წყლის სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობდა, უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსაც კი მიხეილ სერგეევიჩი მისი „კონსულტაციით“ იღებდა.

სუკ-ის მე-9 სამმართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი პლეხანოვი კი, რომელიც უმაღლესი რანგის პარტიული და საბჭოთა მუშაკების და მათი ოჯახების წევრთა უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა, საერთოდ ხელზე ბიჭად გაიხადა. ეს ამბავი გენერალ პლეხანოვს ყელში ამოუვიდა და... გკჩპ-ისტებს შეუერთდა, რომლებთან თავად გორბაჩოვიც ახლოს იყო, მაგრამ რაისას ზეწოლის შედეგად გაემიჯნა, რადგან ყველაზე მეტად ძალაუფლების დაკარგვისა ეშინოდა. პუტჩის ჩავარდნის შემდეგ დაგროვილი მთელი ბოღმა გორბაჩოვმა გენერალ პლეხანოვზე ამოანთხია, წოდებაც კი ჩამოართვა...

მომსახურე პერსონალი რაისა გორბაჩოვას ხელში სულაც ცხარე ცრემლით ტიროდა, ამიტომ პირადი დაცვის უფროსი გენერალი მედვედევი სულ ხან ხვეწნაში იყო, ხან მუქარაში – სამსახური რომ არ დაეტოვებინათ.

რაისა გორბაჩოვა უდავოდ ჭკვიანი ქალი იყო, ოღონდ საოცრად პატივმოყვარე და ამპარტავანი. იგი თავს უფლებას აძლევდა პოლიტბიუროს წევრთა საქმეებშიც კი ჩარეულიყო... მათი აზრისა და ინტერესების სრული იგნორირებით. მერე ქმარს მოსთხოვა, რომ საზღვარგარეთ ვიზიტების დროს წაეყვანა, ხოლო უცხოეთის ქვეყნებში მხოლოდ... საბჭოური ავტომანქანებით ევლო და პირად მძღოლებს ეტარებინათ. ამიტომ ყველა ქვეყნის ყველა ქალაქში, სადაც მიხეილ გორბაჩოვი ჩადიოდა, რაისასთვის თვითმფრინავებით ავტომანქანები ჩაჰქონდათ. წარმოგიდგენიათ, რა თანხები უჯდებოდა ყველაფერი ეს ხაზინას?!

პოლიტბიუროს სხვა წევრების ცოლებზე საკუთარი უპირატესობის დასამტკიცებლად მათთვის... პოლიტმომზადების სემინარი ჩამოაყალიბა (??!!), რომლებზეც ისინი ყოველთვიურად აუცილებლად მომზადებულები უნდა გამოცხადებულიყვნენ. ასეთი რამ არასოდეს ყოფილა და დაცვა მას ხუმრობით „დედიკოს სკოლას“ ეძახდა.

გორბაჩოვის ხანის ბოლო წლებში სასურსათო პრობლემა დღითი დღე მწვავდებოდა, მაგრამ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს კვების პროდუქტებით სპეცბაზა უზრუნველყოფდა, რომელსაც სუკ-ის პოლკოვნიკი გ.კოლომენცევი ხელმძღვანელობდა. იქაური პროდუქცია, მე-9 სამმართველოს დაცვის ქვეშ მყოფ პირთათვის, მხოლოდ სამი დღის ვარგისიანობით იყო, შემდეგ მას იმავე სამმართველოს ბუფეტებში ყიდდნენ, ამიტომ მათი შეკვეთა დაცვის კომენდანტებსა და ოფიცრებსაც შეეძლოთ. ერთხელ გორბაჩოვების დაცვის კომენდანტმა ვ.ლიტოვჩენკომ მომსახურე პერსონალის ერთ-ერთი თანამშრომლისთვის სურსათი შეუკვეთა, რადგან ქალის ვაჟიშვილი ჯარში იყო გაწვეული და გასაცილებელ სუფრას უწყობდნენ. ეს ამბავი რაისამ რომ გაიგო, კომენდანტი საშინლად გალანძღა და ბოდიშის მოხდა მოსთხოვა, რაზეც მტკიცე უარი მიიღო. მაშინ „პირველმა ლედიმ“ პლეხანოვს დაცვის ორგანოებიდან ყველა კომენდანტისა და ქვედანაყოფის უფროსის დათხოვნა უბრძანა! კომენდანტი ვ.ლიტოვჩენკო სამსახურიდან „თავისი სურვილით“ გათავისუფლდა და მუშაობა პარტიის ცკ-ის სამეურნეო ნაწილში დაიწყო. ეს ამბავი რომ მიუტანეს, რაისამ ლიტოვჩენკო იქიდანაც გააგდებინა!

ყოველივე ამის ძირი თავად მიხეილ გორბაჩოვის ეჭვიანი, არამყარი ხასიათი იყო. ამავე დროს მას შეეძლო, ყოველგვარი აჩქარების გარეშე, არასასურველი კაცი კარგა ხანს გვერდით ჰყოლოდა, ოღონდ ისე, რომ მერე ხელის ერთი მოსმით სამუდამოდ მოეშორებინა. ერთი ეგ არის – ელცინთან „იაღლიში“ მოუვიდა...

**ნინო ალექსანდრია**

## ჩვენი პრესდაიჯესტი

# გუშინდელი გაზეთებიდან



### ივანიშვილი თავისი კაპიტალის 90 პროცენტს ქვეყანას მოახმარს?

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის პრესსამსახურის თანამშრომლის ანა გოჩაშვილის ინფორმაციით, პრემიერმა სააგენტო „ბლუმბერგთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ დარჩენილი კაპიტალის მინიმუმ 90 პროცენტს ისევ ქვეყანას მოახმარს, ისევ უანგაროდ.

როგორც გოჩაშვილი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე წერს, ის თავად ესწრებოდა ინტერვიუს, რომელიც პრემიერ-მინისტრთან ჟურნალისტებმა ჰენრი მაიერმა და ჰელინა ბედველმა, იგივე თათია ნიკოლეიშვილმა ჩაიწერეს.

**„ალია“**

### „ქვეყანა არასტაბილურობისკენ მიდის“

– მიაჩნია „ქართული დასის“ ლიდერს ჯონდი ბაღათურიას, – არასტაბილური შემოდგომა გვაქვს უკვე სახეზე და ეს არასტაბილურობა გამწვავდება, თუმცა, მე მინდა გითხრათ, რომ ცუდში არაფერში ეს არ გადაიზრდება... იქნება საპროტესტო აქციები, იქნება დაძაბულობები, მაგრამ ჩვენ დესტაბილიზაციას არ დავუშვებთ, თუმცა, არც უნდობლობისა და ძალადობის ზეიმს არ დავუშვებთ.

**„ახალი თაობა“**

### შავი ზღვისპირეთში ტურისტული სეზონი დიდი ზარალით დასრულდა

ჩავარდნილი სეზონი, ცოტა დამსვენებელი, გაორმაგებული ფასები და ხურდაში დაბრუნებული საბჭოთა კაპიკები – მოკლედ, ასე შეიძლება დახასიათდეს წლევანდელი საზღვაო სეზონი.

აჭარაში ვიზიტიორებს ამ ზაფხულს ამინდში ნამდვილად არ გაუმართლდათ. მთელი ივლისი და აგვისტოს პირველი ათი დღე წვიმიანი იყო და ქობულეთში და ბათუმში რამდენიმე დამსვენებელს თუ შენიშნავდით. „კატასტროფული ზაფხული იყო და ეს ჩვენს შემოსავალსაც დაეტყო. ბარების პატრონებიც გაოგნებულები არიან, მათაც ძალიან ცუდი მუშაობა ჰქონდათ“, – ამბობენ ბათუმელები.

**„რეზონანსი“**

### „მე ფსონს გიორგი კვირიკაშვილის პრემიერობაზე დავდებდი“

– ამბობს ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი, – ივანიშვილის არჩეული საპრეზიდენტო კანდიდატი ზუსტად გამოვიცანი. ვფიქრობ, ამჯერადაც ამგვარი კრიტერიუმებით შეარჩევს კანდიდატურას. არ მინდა, მარგველაშვილის შემთხვევაში ჩემი ასპროცენტიანი პროგნოზი ახლა შეცდომის დაშვებით დავაკნინო, მაგრამ ტოტალიზატორები პრემიერის კანდიდატურებზე ფსონს რომ იღებდნენ, მე გიორგი კვირიკაშვილზე დავდებდი, რომელსაც „ქართუ ჯგუფის“ მუშაობაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი და რომელსაც ივანიშვილი ენდობა.

**„ყველა სიახლე“**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## ცინცხალი ანეკდოტები

**კახელი ქალაქელ საყვარელთან ნებივრობს.**

**– მიხო, ოდესმე სანტექნიკად გიმუშავია?**

**– არა.**

**– ჰოდა მოგიწევს, ჩემი ქმარი მივლინებიდან დაბრუნდა.**

* * *

**მეორე კლასში დამრიგებელი ეკითხება ბავშვებს:**

**– აბა ვინ მეტყვის როგორ ხმას გამოსცემს ძაღლი?**

**– ჰავ, ჰავ, ჰავ! – პასუხობს ერთი.**

**– ყოჩაღ, აბა, როგორ ხმას გამოსცემს კატა?**

**– მიაუ, მიაუ, მიაუ! – პასუხობს მეორე.**

**– აბა მიხო, როგორ ხმას გამოსცემს ვეფხვი?**

**– მასწ, ზუსტად ვერ მივბაძავ, მაგრამ ჩვენს სადარბაზოში ცხოვრობს და შემიძლია გიჩვენოთ და მოგასმენინოთ.**

**მასწავლებელი დაინტერესდა და გაკვეთილების შემდეგ მიხოს შინ გაჰყვა.**

**ერთ-ერთი ბინის კარზე მიხო აკაკუნებს. ნახევრადშიშველი, გაუპარსავი, ნაბახუსევი კაცი აღებს კარს.**



**– ვეფხვია ძია, ქალი მოგიყვანე!**

**– აუუუ!!! – სიხარულისგან აღრიალდება ბიძია ვეფხვია.**

* * *

**– ამაღამ სახლში ამომყვები? – აბამს გოგოს მეგრელი.**

**– ვერ შევძლებ, ახალი გაცნობილები ვართ, თან საერთო ნაცნობებიც არ გვყავს.**

**– ჰოჰ, ივანიშვილს იცნობ?**

**– როგორ არა – გაინაზება გოგო.**

**– მეტი ნაცნობი რაღად გინდა? წავედით!..**

* * *

**– აბა, მიხო მითხარი რა არის ტანკი? – ეკითხება ზემდეგი ახალწვეულ მიხოს.**

**მიხო პირდაღებული კინკრიხოს იქექავს.**

**– ტანკი, ბატონო ზემდეგო... აღზნებული ტრაქტორია, რა...**

* * *

**ორი მეგობარი ხვდება ერთმანეთს:**

**– როგორა ხარ, რას შვრები?**

**– უკვე ორი თვეა, კარატეზე დავიწყე სიარული.**

**– კარგია, წარმატებები გაქვს?**

**– ამ ხნის განმავლობაში სამჯერ ქუჩაში მცემეს, ორჯერ ბარში.**

**– ვაჰ!! – გაუკვირდა ძმაკაცს, – მანამდე ალბათ დღეში ათჯერ გალილავებდნენ არა?**

**– არა, მანამდე საერთოდ არ ვჩხუბობდი.**

* * *

**მითხარი რომ ვარ საზიზღარი, გაქსუებული იდიოტი და ტალახიანი ღორი. – ეუბნება საღამოს ბოსტნიდან დაბრუნებულ ცოლს ვანო.**

**– მეხი კი დაგაყარე, კიდევ ერთი ქვაბი ხაშლამა შასანსლე?**

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24